№ 195
სეკდემბრის 13, პარასკევი 1902 წ.
1877

ივერია

№ 195
სეკდემბრის 13, პარასკევი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

16 ენკენისთვეს გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

სვიმონ ნიკოლოზის ძის ვეზირიშვილის

სულის მოსახსენებლად სოფ. ხოვლეში.

(1—417—1)

გაზეთი „ივერია"

გადავიდა საკუთრებად „ივერიის" ამხანაგობის ხელში

ამხანაგობამ უფლება ამ გაზეთის გამოცემისა შეიძინა ნოტარიუსის წესით დამტკიცებულ ხელ-შეკრულობით 6 აპრილს 1902 წ.

ამხანაგობაში მონაწილეობას იღებენ: თ. ამირეჯიბი, როსებ თადეოზის-ძე, დოქტორი ვაწაძე, სპირიდონ იოსების-ძე, დოქტორი გაბაშვილი, გრიგოლი დიმიტრის ძე, ლოლობერიძე, ნიკოლოოზ ბესარიონის-ძე, გოგებაშვილი იაკობ სვიმონის-ძე, გძელიშვილი გიორგი ივანეს-ძე, გუნცაძე ირაკლი ალექსანდრეს-ძე, თ. დიასამიძე, გრიგოლ ნიკოლოოზის-ძე, ჯაბადარი, ივანე სპირიდონის-ძე, მესხი, კონსტანტინე დავითის-ძე, მიქაბერიძე, ალექსანდრე ნიკოლოოზის-ძე, სარაჯიშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე, დოქტორი ჩიქოვანი, ყარამან მანუჩარის-ძე და ყიფშიძე, გრიგოლ თეოდორეს-ძე.

ამხანაგობის თანხა განსაზღვრულია 15,000 მან., განყოფილი 1,500 პაით, 10 მან. თითო პაი.

ვისაც სურს შეიძინოს პაი, კეთილ-ინებოს და მიჰმართოს „ივერიის" რედაქციას, რომელიც იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, №№ 117 და 118.

ამხანაგობის საზოგადო კრებაზედ ხმა აქვს მხოლოდ იმას, ვინც შეიძენს არა ნაკლებ ათის პაისა.

რედაქციაში შეიძლება მსურველმა მიიღოს ეგზემპლიარი ხელ-შეკრულობისა.

ს.-პეტერბურგის კომპანია „ნადეჟდა"

ზღვით, მდინარით და ღმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა . . . . 1.650.000 მან.
ხათადარიგო თანხა . . . . 2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, სი[illegible]ში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარობს ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის არჯ'ზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადაც ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

მესესხე საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მ.სი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნავოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავლელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და აქონლისათვ[illegible], აგრედვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავდიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა ქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

საქონლ[illegible] გადასაზიდად იქ, სადა პირდაპირ მიდის მატარებელი, კომპანიის ნავოსნობას მორიგება აქვს დადებული რკინის გზებთან იმ საქონლის შესახებ, რომელიც რუსეთიდგან იგზავნება სპარსეთს ან სპარსეთიდგან რუსეთს. კომპანიას ცალკე, განსაკუთრებულ უპირატესობაზედ დამყარებული ხელ-შეკრულობა აქვს დადებული სპარსეთის საზღვევ და სატრანსპორტო საზოგადოებასთან.

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.

ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის „ნადეჟდას"-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაკნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზეა, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108.

(120—6.—24)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ხ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ზ. ი. ხახანაშვილი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხნიშვილი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ქ. ი. გძელიშვილი. 6—7 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ხ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

გ. ა. თარხნიშვილი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон.

(წლ.)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ბედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

შ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 სათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. ბედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

შ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 9—10 ს.

გრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტები3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ნაფიცი ვექილი

ი. გ. გძელიშვილი

გადავიდა მიხეილის ქუჩაზედ, სახლი № 113.

საჭიროა რამდენიმე პატარა ბიჭი

გაზეთის „ივერიის" გამყიდველად. მსურველთ უნდა მიჰმართონ ვექილს გ. ი. გძელიშვილს, მიხეილის ქუჩა, № 113, დილის 9 საათიდან, 10—საათამდე.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.

(წლ.)

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, № 30.

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. წლ.

ტფილისი

✦ გუშინ-წინ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში მოხდა საბჭოს წევრთა კრება. საბჭოს წევრმა ევანგულოვმა მოახსენა გამგეობას თავისი წინადადება, რომ დაარსდეს მევენახეთა, მეღვინეთა და ხილის გამომხდელთა საზოგადოება, რომელმაც პატრონობა გაუწიოს კავკასიაში ამ დარგს წარმოებისასაო. გამგეობამ მოიწონა ევანგულოვის წინადადება და ამოირჩია კომისია, რომელმაც ევანგულოვის თავმჯდომარეობით უნდა შეიმუშაოს პროგრამმა ამ საზოგადოების მოღვაწეობისა ამ ასპარეზზედ მომავალში. კომისიასვე დაევალა დაწვრილებით განმარტოს ამ საზოგადოების მნიშვნელობა და წარმოადგინოს გამგეობის ერთ-ერთ კრებაზედ განსახილველად.

✦ გუშინ-წინ, სატყეო დეპარტამენტის ვიცე-დირექტორმა ბ-ნ ტროინიცკიმ, კავკასიაში მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულის მედვედევისა და სახელმწიფო ქონებათა მმართველის. ბ-ნ ბეკის თანხლებით დაათვალიერა ტფილისის საბოტანიკო ბაღი, რომელსაც სხვა-და-სხვა მცენარეულობის შესახებ ცნობას აძლევდა ამ ბაღის ახლად დანიშნული დირექტორი ბ-ნი როლლოვი; ბ-ნი ტროინიცკი ფრიად კმაყოფილი დარჩა ბაღის მდგომარეობით და აღუთქვა, ყოველსავე შემწეობას აღმოგიჩენთ, რაც ჩემთვის შესაძლებელი იქმნებაო.

✦ ქალაქის ერთ-ერთს ხორცის დუქანში გუშინ, 11 სეკდემბერს, გაუყიდნიათ ავადმყოფ საქონლის ხორცი. როგორც გადმოგვცეს, ამ ნაირს ხორცს ხშირად ჰყიდიან სრულიად აშკარად და ისიც პირველ ხარისხის ხორცადაო. ხორცს ზედვე აქვს თურმე დამღა დაკრული, რომელიც ამტკიცებს ხორცის ფინოზობასა. სწორედ მეტის-მეტია.

✦ საბეითალო მთავარ-სამმართველოს გადაუდვია ასი-ათასი მანეთი საქონლის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად ამიერ-კავკასიაში.

✦ 25 სეკდემბერს, როცა მიწათ-მოქმედების მინისტრი ტფილისში ჩამოვა, კავკასიის სამეურნეო საზოგადოება აპირობს წარუდგინოს ბ-ნს ერმოლოვს თვისი მოხსენება ჩვენებურ მეურნეობის არსებით საჭიროებათა შესახებ.

✦ ტფილისში იკვლის ყოველ წლივ 60,000 სული სხვილ-ფეხი საქონელი. აქედან 30,000 სულ კავკასიურის ჯიშისაა.

✦ საშინლად გაძვირებულა გურიაში სიმინდი. ფუთი მანათი და ექვსი აბაზიაო. ხალხი დიდს გაჭირვებაშია ჩავარდნილი, რადგან ასეთს ფასს სიმინდისას ჯერ არავინ მოსწრებია აქეთაო.

✦ შულავერისკენ რაღაც ჭირი გასჩენიათ ღორებს და საშინლად თურმე სწყვეტს. ივლისში 2,000 ღორი მომკვდარა 15,000 მან. ას ავადმყოფ ღორში 90 სული კვდებაო.

✦ ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს საალმშენებლო განყოფილება თხოულობს 10,000 მან. თიანეთ-ახმეტის შარა გზის შესაკეთებლად.

✦ ტფილისის ქალაქის სასკოლო კომისსიას დაუდგენია ქალაქის პირველ-დასაწყისი სასწავლებლები ნომრებით იყოს აღრიცხულიო; ამასთანავე ამ რიგობას მიემატოს მათი სახელებიც, ვის სახელობაზედაც სკოლა იქნება დაარსებულიო.

✦ ტფილისის პირველ-დასაწყის სკოლებში სამღრთო სჯულის მასწავლებლებათ დაუნიშნავთ: მმ. კონტრიძე, მამამთავრიშვილი, იანქოშვილი, თოთიბაძე და სომეხთა გრიგორიანების სამღრთო სჯულის მასწავლებლად მ. ჯულურიანცი.

✦ ქალაქის განაპირა ქუჩების მოკირწყვლის მეთვალყურე უმთავრეს ქუჩების კომისსიას შეუდგენია რამდენიმე დასი, რომელიც შესდგება 2 მეთვალყურისა და ერთის ტეხნიკოსისაგან. ეს დასები უკვე შესდგომიან მუშაობას. მომავალში კიდევ აპირებენ ამისთანა დასთა შედგენას.

✦ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას ამ შემოდგომაზედ პეტერბურგში იმ მეღვინეთა კრებაზედ, რომელზედაც სხვათა, შორის, უნდა განიხილონ ეკკლესიის ღვინის გაუმჯობესების სხვა-და-სხვა საგანი, წარმომადგენლად დაუნიშნავს საქარის სანერგეს გამგე ბ-ნი სტაროსელსკი.

✦ ქალთა ტანისამოსის გამყიდავებს თავიანთ სამკერვალოებში ქარგლებისათვის დღიური სამუშაოს ფასი შეუმცირებიათ; მაღაზიებისა და სამკერვალოების პატრონები იმითი მართლულობენ თავსა, რომ ამ ბოლოს დროს რუსეთიდგან და საზღვარ-გარეთიდგან ბლომად შემოაქვთ მზად შეკერილი ქალების ტანისამოსიო. ამის გამო 120 კაცსა და ქალს დაუნებებია თავი მუშაობისათვის, მაგ შემცირებულ ფასად ვერ ვიმუშავებთო.

✦ რადგანაც მთავრობას გარდაუწყვეტია, რომ ტფილისის მესამე დედათა გიმნაზიას საკუთრებათ მოუპოვოს დღევანდელი შენობა, ამიტომ უკვე გარდაუდვია ამ საგნისთის საჭირო თანხა; როგორც ყური მოვკარით, პირველ ოკდომბრიდგან შეუდგებიან კიდეც ამ სასწავლებლის ძველ შენობის ზოგიერთ ფარადების დანგრევასა.

✦ როგორც ქალაქის სამის საარჩევნო ნაწილის ამომრჩეველთა სიებიდანა სჩანს, არჩევნებზედ წრეულ ხმის მიცემის ნება ეძლევა ხუთას ქართველს, დღევანდლამდე არჩევნებზედ შესასვლელი ბილეთები წაუღიათ 400-მდე კაცს. საუბედუროდ, ამ ოთხასიდგან მხოლოდ ათია ქართველი; რითი უნდა აიხსნას ეს ამბავი, თუ არა ჩვენის საშინელისა და სამარცხვინო დაუდევრობით.

✦ განზრახულია, ბევრის მოსპობა. მთავრობას უნდოდა ეს გლეხ-კაცთა გარდასახადი იჯარით გაეცა. ამაზედ პირობებიც-კი შეადგინა მოიჯარადრესათვის. საუბედუროდ, ჯერ არ დამტკიცებულა ეს პირობები; ტფილისის გუბერნატორის განკარგულებაა ახლა, რომ წრეულობით ჯარის ბარგის გადასაზიდად ისევ გლეხკაცობამ გამოიყვანოს ურმები.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობა შეეკითხა ტფილისისას და სთხოვს შეატყობინოს ბინადრობა იმ მეიჯარადრესი, რომელმაც ქალაქის ქუჩების მომკირწვლელ კომისიას წარუდგინა აგურის ნიმუში ქუჩების დასაფენად; ქუთაისის გამგეობასაც განუზრახავს ზოგიერთა ქუჩა მოჰკირწლოს გაუმჯობესებულის სისტემის ქვაფენილით.

✦ რადგანაც ამ ჟამად საკლავ საქონლის მორეკა ტფილისში აკრძალულია, ტფილისის საგუბერნიო ბეითლის განკარგულებით საქონლის ვაჭართ ნება დაერთოთ ჯანდარისა, ნავთლუღისა და სადახლოს სადგურებიდგან საქონლის მორეკვისა, თუ რკინის გზით იქნება საიდანმე მოყვანილი ეს საქონელი.

✦ ტფილისის უსახელო საზოგადოებამ წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას გაემართნა წყლის ძალით მომქმედი ელექტრონის სტანცია, თუ გამგეობა რაიმე შემწეობასა და შეღავათს აღმოუჩენდა ამ საქმეში; ჩვენ უკვე მოხსენებული გვქონდა გაზეთში ეს პირობებიც. 13 აგვისტოს ქალაქის გამგეობამ ამ საგნის განხილვა დაავალა თავის წევრს ბ-ნ ეფინჯიანცს; ბ-ნ ეფინჯიანცს უნდა მოეწვია განსაკუთრებით ამ საგნისთვის სპეციალისტები და განეხილათ აგრეთვე წყალის ძალით მომქმედ ელექტრონის სტანციის პროექტი, რომელიც გამგეობას წარუდგინა გამოჩენილმა საზღვარ გარეთელმა ინჟენერმა ბ-ნმა მეცელმა; გამგეობაში ამის შემდეგ ამ საგნის შესახებ ჩამი-ჩუმი აღარ არის და გამგეობის წევრნი ჰკვირობენ, რომ ეს ფრიად საინტერესო და საგულისხმიერო საქმე ესრე შეჩერებულია. ამ საქმის განხილვა-კი აუცილებლად საჭირო იყო, რადგანაც ახლო მომავალში ქალაქს დასჭირდება ელექტრონი ქუჩებისათვის, ელექტრონით მავალ ვაგონებისა და ფუნიკულერისათვის.

✦ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განყოფილება შეეკითხა რუსეთის იმპერიაში სამეურნეო საზოგადოებათ და სთხოვა შეეტყობინებინათ ხორბლეულ ვაჭრობაში რა სიყალბეა შემჩნეული და რას უფრო ურევენ სუფთა მარცვალში ვაჭრებიო. ყველა ამის შესახები ცნობანი სამინისტროს უნდა შეატყობინონ, რათა მან უკეთ მოაწყოს ხორბლის ვაჭრობა; კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ, განიხილა რა მინისტრის წინადადება, დაადგინა რადგანაც საზოგადოებაში ამ საგნის შესახებ არ არის არავითარი ცნობა, ამიტომ შეეკითხოს საზოგადოება გომის სინდიკატსა, ქალაქის გამგე-

ობასა, აუფერმანს და სხვათა, რომელთაც შეუძლიანთ რაიმე ცნობა მიაწოდონ საზოგადოებას ამ საგნის შესახებ.

✦ ტფილისის პოლიცმეისტერმა, როგორც ჩვენცა გვქონდა მოხსენებული, სასტიკად დაავალა პოლიციის მოხელეებს, რომ გრამოფონები არავის ეტარებინა ქუჩებში და არ შეეწუხებინათ მცხოვრებლები; თუ რამდენად ასრულებენ გრამოფონის პატრონები პოლიციის მოთხოვნილებას, აი ესაც გვიმტკიცებს: ნიკოლოზის ქუჩაზედ ერთს დააქვს ქუჩებში გრამოფონი და აგროვებს გროშებს; ამ კაცს, რამდენათაც გვახსოვს, ჯერ არდანი ეკიდა ზურგზედ და სჩანს არღნის ტარება სრულიად აღარ დაუნახავს.

✦ ნავთლუღში ქალაქის ზოგიერთ თავისუფალ ადგილის იჯარით აღებას თხოულობს ცნობილი იჯარადარი დ. თ. ჩიჯავაძე; ამაზედ გამგეობ.ას ამა თუ იმ განყოფილებაში ერთი მითქმა-მოთქმა და მიწერ-მოწერა, თუ რა საჭიროებისთვის თხოულობს ამ ადგილების იჯარით აღებას და რაში უნდა გამოიყენოს ეს ადგილებიო.

✦ იმ კომისიის უკანასკნელ კრებაზედ, რომელსაც დავალებული აქვს ზუბალაშვილის სახლობაზედ ღარიბთათვის თავშესაფარის სახლის აგება, გარდასწყვიტეს ამ შენობის ასაგებად მასალის მოტანა იჯარით გაიცესო და ამ ყველა მოტანილ მასალის ყურის გდება დაავალა სამს კაცს. თუმცა ამ შენობისთვის მასალის მოტანა საჯაროდ არ ყოფილა ჯერ გამოცხადებული, მაგრამ, როგორც ქალაქის ამშენებელ განყოფილებაში შესულ ქაღალდებიდგან სჩანს, უკვე რამდენსამე კაცს მიურთმევია თხოვნა კირისა, გაჯისა და აგურის მიტანაზედ თავ-თავიანთ პირობითა; ამ პირობას ზემოხსენებული კომისსია განიხილავს მომავალს თავისს კრებაზედ.

✦ ტფილისის გუშინდელ გაზეთებში დაბეჭდილ ხმოსანთა კანდიდატების სიაში შეცდომით გამოტოვებულია მეორე გიმნაზიის მასწავლებლის გვარი, მესამე საარჩევნო განყოფილებაში 40 ხმით დასახელებული, ბ-ნი ს. მესტიაშვილი.

✦ 1 სეკდემბრიდგან 9 სეკდემბრამდე ტფილისში გადამდებ სენით ავად გამხდარა 6: 2 მუცელით, 1 ყვავილით, 1 ქუნთრუშით და 2 ხუნაგით. პირველ განყოფილებაში 1—მე-V-ში, 1—მე-VII ში, 2—მე-VIII-ში და 1—მე-X-ში. ტფილისის ქალთა საავადმყოფოებში 1 სეკდემბრიდგან 9-მდე გამოწერილა 2 ავადმყოფი; 9 სეკდემბრისათვის დარჩენილა 44 ავადმყოფი; დარჩა 11 თავისუფალი ადგილი.

გადამდებ სენით თავშესაფარებში 1-დგან 9-მდე მიუყვანიათ 2 ავადმყოფი; თავისუფალი ადგილი 26.

ტფილისის სულით-ავადმყოფთა განყოფილებაში 9 სეკდემბრამდე შესულა 1 სულით ავადმყოფი; 9 ამ თვეს ამ განყოფილებაში ყოფილა 50 ავადმყოფი; ამ ჟამად თავისუფალი ადგილი არ არის იქ.

✦ ტფილისის გუბერნატორი შეეკითხა ქალაქის გამგეობას, ხომ არაფერი დაბრკოლება არ არის ხეჩატურ მარქარიანცს ნება მიეცეს ნავთლუღსა და ავლაბარს შუა, მნაცაკანოვის ხიდს ქვემოდ, მტკვრის პირად, საპნის ქარხანა გამართოსო.

ჩვენებური ამბები

ს. ტეზერი (გორის მაზრა). ჩვენს სოფელში ამ დღეებში შეუდგებიან ეკკლესიის აშენებას. მცხოვრებნი მეტად გახარებულნი არიან, რომ ამას იქით სხვა სოფელში აღარ მოუხდებათ სიარული წირვა-ლოცვის მოსასმენადა.

მოსავალი წელს ძალიან ნაკლები იყო აქეთ.

—

ქვემო-მაჩხაანი (სიღნაღის მაზრა). ამ ჟამად ჩვენს სოფელში აპირებენ წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დაარსებას. ამ საქმის განსახორციელებელ თანხის გასაძლიერებლად ერთი წარმოდგენა უკვე გაიმართა და, იმედია, ჩვენი საზოგადოება გულ-გრილად არც შემდეგ მოეკიდება ამ სიმპატიურ დაწესებულებას.

—

სურამი. მოაგარაკეთა წასვლით ჩვენი დაბა თითქოს დაყრუვდა. შესწყდა ყველა გასართობის ხმა და სურამელებიც მოწყენილობას მიეცნენ.

მოსავალი ძალიან ნაკლებად იყო, რადგანაც წელს სამჯერ დაისეტყვა ჩვენი დაბა და მის ახლო-მახლო სოფლები. პური ხორბლისა ფუთი ღირს 70 კაპ.-დან 1 მანეთამდე.

სიმინდები ჯერ არ გაქრილა, მაგრამ ესაც ჩქარა იქნება. მისი მოსავალიც, როგორც ყურძნისა, ნაკლები იქნება.

—

ს. ახმეტა (თიანეთის მაზრა). ამ ერთის კვირის წინად აქაურმა მცხოვრებელმა ჩხუბია ყაყიაშვილმა მოჰკლა აქაურივე მცხოვრები ი. დოლიძე.

ამ რამდენისამე დღის წინად აქაურ ქსენონში მოიყვანეს ცოცხალ-მკვდარი კაცი, რომელიც მესამე დღეს გარდაიცვალა. ამ კაცის ვინაობა ჯერ ვერ გაუგიათ.

ორ ამ ენკენისთვეს აქაურმა მცხოვრებმა ი. მ—ლმა მოჰკლა ალვანის მცხოვრები თუში გ. ცისკარაშვილი.

—

ქუთაისი. სათავად-აზნაურო საქმეები.—უმაღლესად ნაბოძები 20,000 მან. მოხმარების საკითხი.

(დასასრული *)

კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე. დიდ კრებაში ძნელია ყველა იმ მოტივების მოყვანა, რომლებითაც კომისია ხელმძღვანელობდა სტიპენდიების პროექტის გამომუშავების დროს. მე მესამედსაც ვერ ვიტყვი იმისას, რაც იქ ითქვა. მიუხედავად ამისა, მე ჩემს მოტივებს მაინც მოგახსენებთ. ეს ფული საკმარისი არ არის საშუალო სასწავლებლის დასაარსებლად; წერა-კითხვის სკოლები-კი მე არ მიმაჩნია საკმარისად სასარგებლო დაწესებულებად. მე ვარჩევ ერთ უმაღლეს სწავლა-დამთავრებულს 20 წერა-კითხვის მცოდნეს (ოქმში შეტანილი ეს წინადადება ბ. კირილემ, იმის შესწორების დროს, უარყო, არ მითქვამსო). 20,000 მან. უზრუნველ ვყოფთ 40—50 კაცს საშუალო სასწავლებელში და ამდენსავე უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტებს, რომლებიც სტიპენდიების წყალობით იძულებულნი არ იქნებიან საკუთარი შრომით იშოვონ ლუკმა პური და ამგვარად მოსცდნენ მეცადინეობას, გაიფუჭონ საბოლოოდ ჯანმრთელობა და შეიძინონ კაცობრიობის ახლანდელი სენი—კატარი—კუჭის ავადმყოფობა. სტიპენდიებით უზრუნველ-ყოფილნი, ისინი მიეცემიან თავიანთ საქმეს და შეითვისებენ ყოველ იმას, რის მიცემაც შეუძლიან ახალგაზრდობისათვის უნივერსიტეტს. მშიერი და ლუკმა-პურზე დროს დამკარგავი სტუდენტი ვერ მოანდომებს ბევრ დროს თავისს სპეციალურ საგნების შესწავლას და ამისათვის ნაკლები მეცნიერები გვეყოლებიან და საკმაო სარგებლობას ვერ მოიტანენ. დღეს ჩვენთვის უსაჭიროესია ვიყოლიოთ მეცნიერები და სპეციალისტები, ვინემ მრავალრიცხოვანი საშუალო და დაბალ სწავლა-მიღებული კაცები. თქვენ არჩევთ, ვინც გზას ადგია, სწავლობს, ნუ დავეხმარებითო და ვინც ჯერ გზას არ ადგია, იმას მოვეხმაროთ ეს ფულიო. მე-კი წინააღმდეგს ვარჩევ. შევადაროთ, რომელი ჯობია: მე, მაგ. მილიონ მჯღაბნელს ასი სტუდენტი მირჩევნია. (ამაზე მას ჩოხოსნებმა მიაყვირეს: „როგორ, ბატონებო, თქვენმა შვილებმა ფრანციცულიც-კი ისწავლოს და ჩემმა ანაბანაც აღარ იცოდესო?!“) ამნაირათო, განაგრძო ბ-ნმა კირილემ, სტიპენდიების დაარსებით ჩვენ მივცემთ საზოგადოებას ჭეშმარიტად განათლებულ კაცებს, რაც ასე ეპირვება ჩვენ ქვეყანას. მეცნიერების შეძენა უფრო სასახელოა ქვეყნისათვის. მეორეს მხრივ გიმნაზიის დაარსება არ გაუადვილებს შესვლას ბავშვებს მათ სკოლაში, რადგან ამათ თავიანთი ბავშვები ეყოლებათ უფროს კლასებში გადასაყვანად და იმათ მისცემენ უპირატესობას. რაც შეეხება, რომ ბ-ნი ჯორჯიკია ამტკიცებს ბავშვები თავიდგან კარგად სწავლობენ და მერე უკლებენო, ეს არავის ხნოვანების ბრალია, რომლის გადიდებით ძალიან ბევრს გული ურუვდება სწავლის შეძენისათვის. ამიტომ უმჯობესია დაარსდეს სტიპენდია 25 კაცისათვის, ვინემ სკოლა 400-სათვის, რაზედაც ორატორს მიაყვირეს: 40-სათვის-კი არა 500—600-სათვისო. თავმჯდომარეც ასწორებს: თითოში 40 და სულ სასწავლებელში 400—500-იო.

კიტა აბაშიძემ კირილეს ნათქვამს სავსებით დაჰკრა კვერი და გამოთქვა ის აზრი, რომ ინსტიტუტის დაარსებით ჩვენ შევქმნით ისეთ სასწავლებელს, რომელიც მუდამ სადავიდარაბო საგნად გახდება. გარდა ამისა, იქ ქართული ენა იმდენად დაიცვება, რამდენადაც ამას დღეს არსებულ სასწავლებელში ვხედავთ. ჯერ ამ განზრახულ ინსტიტუტსაც არ ჰყოფნის ეს ფული და სხვას მით უფრო. ამ ფულით ჩვენ ყველა მაზრებშიც დაბალ და საშუალო სასწავლებლებს ვერ დავაარსებთ და საყოველთაო განათლებას ვერ შემოვიღებთ. ეს დღეს დიდებულ რუსეთსაც ვერ მოუხერხებია და ჩვენ რაღაც 20,000 მ. რას გავხდებით. სტუდენტების გაჭირვებული მდგომარეობა დღეს ყველამ ვიცით და იმათ დასახმარებლად გავილოთ დღეს ეს ფული თუ გვინდა, რომ სწავლულები მოვუმზადოთ ქვეყანას. ერთად-ერთი ხელსაყრელი ჩვენთვის არის სტიპენდია, ამიტომ მე ვარჩევ იმის დაარსებას.

ს. ჯორჯიკია. ბ. კირილე ამტკიცებს იმ აზრს, ვითომ ქვეყნისათვის უმჯობესი იყოს გამოიზარდოს მცირე ნაწილი მეცნიერებისა, გამოჩენილი კაცებისა, ვინემ მომეტებული ნაწილი საშუალო და დაბალ სასწავლებლებში აღიზარდოს. ეს შემცდარი აზრია, **ибо мѣриломъ культурности нація не служатъ ея выдающіяся единицы, а общее число грамотныхъ и образованныхъ людей.** შემდეგ მან განაცხადა, რომ ქუთ. პროგიმნაზიის ბავშვებმა, გაათავეს თუ არა, ყველა მიიღეს გიმნაზიაში, თუმცა გიმნაზიას თავის შეგირდებიც ჰყავდა. მაშ სათ.-აზნაურო სკოლის ბავშვებისათვის სათ.-აზნაურო გიმნაზიაში ყოველთვის იქნება ვაკანსიები, მიუხედავად თვის უმცროს კლასებისა, თუ-კი ბავშვები ეგზამენს დაიჭერენ. გარდა ამისა, სკოლის მოწინააღმდეგენი ამბობენ, რაღაც „недоразумѣніе“-ბზე, მაგრამ ეს „ნედორაზუმენიები“ ნაკლებ საპატიონი არიან იმაზე, რომლებიც თავად-აზნაურთა შორის ატყდება სტიპენდიების დანიშნის გამო. მაგ., საქალებო გიმნაზიაში დანიშნულ სტიპენდიაზე თხოვნა შემოიტანა სამმა თვით უმდიდრესმა აზნაურებმა ზუგდიდის მაზრიდგან და თვითეული მათგანი ამტკიცებდა თვისს სიღარიბეს და სხვების სიმდიდრეს. რაც შეეხება იმას, რომ მომავალ სასწავლებელში მიიღებიან არა მარტო ჩვენი შვილები,—ამას ჩვენ სტიპენდიების განაწილებაშიაც ვხედავთ, მაგ., საქალაქო სტიპენდიას სოხუმში იღებენ არა მოქალაქენიც. ამისათვის ვადარებ ამ ორ საკითხის სასარგებლო საბუთებს ერთმანეთს და გამომყავს, რომ დღევანდელ მდგომარეობაში თავად-აზნაურობას სასწავლებელი ეპირვება, რომ სწავლის გზა უმრავლესობას გაუხსნას.

ი. იაშვილი (სოფლის აზნაურშვილი). მე, ბატონებო, აქ არავის დავუბარებივარ, ალბათ, არავისთვის საინტერესო არ ვიყავი, რადგან თქვენსავით უმაღლესი სასწავლებელი არ გამითავებია, დიპლომი არ მაქვს. მაგრამ ჩემს აზრს მაინც მოგახსენებთ. საუბედუროდ ჩვენდა დღევანდელი ჩვენი გიმნაზიის ახალგაზდები შეიქმნებიან თუ არა 14—15 წლისა, კავალრებად ხდებიან, დედა-ენაზე ლაპარაკს უკადრისობენ და ერთი საათის ბლიყინის შემდეგ დედ-მამის სახელის თქმას ძლივს ახერხებენ. ვერც უმაღლეს სასწავლებლებში მყოფთ ვხედავთ უკეთეს მდგომარეობაში. აქ იმას ლაპარაკობენ, ჩვენი შვილები მეცნიერები გამოვიდნენ, ფრანციცულ-ნემეცური ენები ისწავლონო და იმა[...] ვერ დაეძებენ, რომ სხვების შვილებმა ანბანიც არ იცის და მათი გზა ციმბირია. ამიტომ მე იმის მომხრე ვარ სამეურნეო სასწავლებელი დავაარსოთ, რომ ორიოდ კვალი მიწის მოვლა ვასწავლოთ ჩვენ შვილებს.

4 ენკ. დამთავრდა ამ საგნებზე ლაპარაკი და საკითხიც შესაფერისათ გამოირკვა. თავმჯდომარის მიერ დაყენებული კითხვა: სკოლა, თუ სტიპენდიაო, მესამე დღეს კენჭების ჩამოტარებით გადაწყდა: პირველს მოუვიდა 29 თეთრი და 20 შავი, ხოლო მეორეს 26 თეთრი და 23 შავი.

ასეთი დასკვნა ორი დღის ნალაპარაკევისა ბევრს არ მოეწონა და მათ შორის ერთმა, დ. ნიჟარაძემ პროტესტი განაცხადა.

გადასწყდა თუ არა სკოლის დაარსების საკითხი, ახლა მისს ტიპზედ ლაპარაკს შეუდგნენ, მაგრამ ამაზე დაწვრილებით ლაპარაკის განგძობა საჭიროდ აღარ დაინახეს, რადგან სკოლების სხვა-და-სხვა ტიპების შესწავლა ახალს კომისიას დაავალეს. ამ კომისიაში მოჰყვნენ: კ. ლოლობერიძე, სპ. ჯორჯიკია, ს. ლოლობერიძე, ს. ხუნდაძე, ნ. მკურნალი, გ. ჯაფარიძე, ი. ოცხელი, მ. დარახველიძე, ბ. ბებურიშვილი, გ. ჩიჩუა, ი. ბაქრაძე, ს. თოფურია და ვ. აბულაძე (ახალი დირექტორი ბანკისა). ამავე კომისიას დაევალა მოიწვიოს მცოდნე პირებიც, ვინც-კი ამ საგნისათვის გამოსადეგნი იქნებიან. თავმჯდომარე გუბერნიის მარშალმა-კი უნდა მოიწვიოს აგრეთვე ამ საქმისათვის მაზრის მარშლებიც. კომისიასვე დაევალა გამოაქვეყნოს გაზეთების საშუალებით ყველა თავის მიერ გამომუშავებული პროექტები, რათა ყველას საშუალება მიეცეს იმათი წინდაწინ გაცნობისა.

ისო.

რ უ ს ე თ ი

ამ უკანასკნელ ხანებში დიდი ყურადღება მიაქცია მთავრობამ სამეურნეო მრეწველობის საჭიროებას. დაარსებულ იქმნა განსაკუთრებული საბჭო ფინანსთა მინისტრ ს. ი. ვიტეს თავმჯდომარეობით; მიწვეულ არიან შეწევნობის აღმოსაჩენად ადგილობრივი კომიტეტები მემამულეთა და საერობო მოღვაწეთა; მონაწილეობა უნდა მიიღონ აგრეთვე მოსკოვის სამეურნეო საზოგადოებამა და პურის ვაჭრობის წარმომადგენლებმა, რომ როგორმე მოწესრიგდეს პურის ვაჭრობის საქმე, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული მეურნეობასთან. უნდა დაასახელონ, გამოარკვიონ და გაითვალისწინონ სავსებით ყველა აუცილებელი მოთხოვნილებანი; აღნიშნონ ის პირობანი, რომელიც ხელს უშლის მეურნეობის განვითარებას; შეიმუშაონ და სახელმძღვანელოდ მიიღონ რაიმე საერთო ღონისძიებანი, რომელთა მეოხებითაც შესაძლო იქნება ასე თუ ისე გაუმჯობესება მეურნეობისა და პურის ვაჭრობისა. მთავრობა ხელს აწვდის მეურნე-

---

*) იხილე „ივერია“ № 194.

ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

შინაურთა შორის.

ილია ჭავჭავაძე და ბ-ნი გომართელი.—გიორგი ზდანოვიჩი და ბ-ნი ქვარიანი.—ნ. ნიკოლაძე და ეთავო ტფილისი.—ჩვენი დედა-ქალაქი და ქართველი ამომრჩეველი.

ბევრ სხვა სიკეთესთან ღმერთს მოუცია ჩვენთვის საკვირველი ნიჭი კრიტიკისა. ეს ნიჭი ბრილიანტისა და ალმასის ელვარებითა ბრჭყვინავს, მეტადრე ჩვენს ნაწერებში. ისე ავწონავთ კაცის ნაკლსა და ღირსებას, თითქო აფთიაქის სასწორი გვეჭიროს ხელში, რომ იოტის ოდენამ არც აქეთ გადიწიოს და არც იქით. ეს სულ იმის ბრალია, რომ მიუდგომელობას ღრმა ფესვები გაუდგამს ჩვენს არსებაში და სიმართლის მოყვარეობას მკვიდრი ტახტი დაუდგამს ჩვენს გულში. ამისთანა ღირსებით შემკულებს, სიზმარიც-კი დაგვეჯერება ჩვენა და აბა სიფხიზლეში გამოთქმულს ჩვენს აზრსა და შეხედულობას ხომ ზარბაზანიც ვერას დააკლებს, როგორც გაუტეხელ კლდეს. რაკი ასეთის თვისებისაა ჩვენი ბუნებითი ნიჭი, ამიტომ ჩვენ უცოდნელათაც ასეთს კრიტიკას ვახერხებთ, რომ გარეთ მტერს ვუყენებთ თვალებსა და შინ მოყვარეს. ქართველ კაცს კალმისა და ქაღალდის მეტი არა უჭირს-რა, რომ გამოაცხოს კრიტიკული წერილი, რის და ვის შესახებაც გნებავთ. არცა რა მომზადება, არც საგნის შესწავლა, არც ერთი და არც მეორე. ოღონდკი შემოგვიკვეთეთ და ჩვენ თვალდაუხამხამებლივ გავატარებთ კრიტიკის ქარ-ცეცხლში თვით დანტეს, მილტონს, შექსპირს, გეტეს, ჰეინეს და სხვა გენიოსებს. ამისთანა უნართან აბა რამ უნდა დაგვაბრკოლოს, როდესაც დაგვავალებენ ქართველ მწერლების კრიტიკულ განხილვას. აქ ხომ სწორედ შეუდარებელნი ვართ.

შორს რომ არ წავიდეთ მაგალითებისთვის, საკმარისია გადავავლოთ თვალი თუნდ ნახატებიან გაზეთ „კვალში“ მოთავსებულ ბ-ნ გომართელის კრიტიკულ წერილს შესახებ ილია ჭავჭავაძისა. კარგი პოეტია და ძრიელ ბრძენი კაცია ილია ჭავჭავაძეო, დიდის გრძნობით და მაღალის აზრითაა აღფრთოვანებული მისი პოეზიაო, ზეშთაგონების ბეჭედი აკრავს ყოველ მისს ლექსსა და მოთხრობასაო; მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ,

რადაა იგი სინათლე,
რასაცა ახლავს ბნელით!

და ბატონს გომართელსაც თავისს გამჭრიახის თვალით აღმოუჩენია ისეთი სიბნელე, რომელიც არა თუ ახლავს სინათლეს შემოქმედობითის ძლიერებისას ჩვენის დიდებულის პოეტისას, არამედ სრულებით უჩინარს ჰყოფს ამ სინათლეს, ძლიერებას და თვით პოეტის პიროვნებასაც. მაშ რა ჰქვიან ამისთანა სასწაულთ-მოქმედებას, თუ არ უძლიერესი კრიტიკული ნიჭი, რომელიც თავისის ერთის აპრიალებით უცებ აქრობს და ანელებს, ჰგვის დედამიწის პირიდამ სასიქადულო სახელს გამოჩენილის მოღვაწისას! ეს მოღვაწე მთელი ნახევარ საუკუნე ბურჯივით უდგა ქართულ ლიტერატურას და ამოგვადგმევინა დადუმებული ენა, გამოაფხიზლა, ამაღლა მიძინებული გრძნობა ჩვენის ერისა, და თურმე-კი ნუ იტყვით, ილია ჭავჭავაძე, უხვად დაჯილდოვებული პოეტურის ნიჭით და ფილოსოფიურის გონიერებით, ყოფილა ერთგული ყმა და მოსამსახურე პრაქტიკულის ანგარიშისა. უწერია პოემები და მოთხრობები, მაგრამ იმიტომ-კი არა, რომ თავისი ფიქრი და გრძნობა გაენდო ხალხისთვის. თქვენც არ მომიკვდეთ. დეე, მეწყოს ყუთში, რომ ხანდახან გადავიკითხო და მე თვითონ ვისიამოვნო ჩემის ნაწარმოებითაო. როცა ბატონ-ყმობა გადავარდება, მაშინ გამოვაქვეყნებ და ვინ რაღას დამაკლებსო. მანამდე-კი დიდკაცობას ისე ვეჩვენები, ვითომც მეც იმათის ბანაკიდანა ვარო.

რაც უნდა დიდებული მოღვაწე იყო, რაც უნდა თვალსაჩინო სამსახური გაგეწიოს ქვეყნისათვის, როდესაც ამისთანა ანგარიშს გამოგინახავენ და ასეთს ბნელს გადააფარებენ ნათლით შემოსილს თქვენს ქნარს, ძნელია, რომ ერთიან არ დაიჩრდილოს ხალხის გულში თქვენი ამაგიც, თქვენი ღვაწლიც და თვით ის ბრწყინვალე აზრიცა და გრძნობაც, რომელნიც გვინათებდნენ ცხოვრების გზასა. ამისთანა სიბნელის აღმოჩენას და გამომჟღავნებას, განა, პატარა ნიჭი უნდა, და განა, ეს სიბნელე არა კმარა, რომ გასრისოს უდიდესი სახელი თვით ისეთის კორიფეებისა, როგორც ბიც არიან საქვეყნო გენიოსნი—დანტე, შექსპირი, მილტონი, შილლერი და სხვანი! ბ-ნმა გომართელმა გამოიჩინა ძალიან დიდი უნარი კრიტიკისა და სწორედ მოხერხებული ფანდიც გამოჰკრა ილია ჭავჭავაძის ქნარს, რომ ძირს დაეცა მისი სახელი. ერთი ეს არის, რომ ცოტა ადრეააპრიალა თავისი ულმობელი და ბასრი მახვილი. პატარა ხანს რომ კიდევ დაეცადნა, ჩვენს საზოგადოებას იქნება დაჰვიწყებოდა, რომ არსებობს ცენზურა, რომელსაც თავისი კანონები აქვს, დაავიწყდებოდა, რომ ილია ჭავჭავაძეს მოსაკლავად დასდევდნენ ჩვენი ლუარსაბები შემდეგ „კაცია-ადამიანის“ გამოქვეყნებისა, და მაშინ ბ-ნ გომართელის გამოგონება აუცილებლად გაუთხრიდა ორმოს და შიგ გადუძახებდა ჭავჭავაძის სახელს.

აფსუს, რომ აჩქარდა! სიყმაწვილით მოჰსვლია, თუმცა კრიტიკული ძლიერება და ნიჭი გამოგონებისა შეუდარებელი ჰქონია.

* *
*

არც პუბლიცისტიკაში ვყოფილვართ ვისზედმე ნაკლებნი, თორემ თქვენ თვითონ განსაჯეთ. ეს ხუთი-ექვსი წელიწადია, რაც მთელს იმერეთსა და ცოტაოდნად ამერეთსაც პირზედ გვეკერა სახელი ბ-ნ გიორგი ზდანოვიჩისა, რომელსაც მწერლობაში ვიცნობთ მაიაშვილათ. ჩვენ სიამოვნებითა ვკითხულობდით რუსულსა და ქართულ გაზეთებში მისს ნიჭიერ წერილებს. მერე ხომ გულის ფანცქალით ვადევნებდით თვალს დიდსა და ძნელად მოსაგვარებელ საქმეს, როგორიც არის წარმოება შავის-ქვისა ჭიათურაში და რომლის გზაზედ დაყენებაც იკისრა ბ-ნმა ზდანოვიჩმა. მისმა მხნეობამა და მეცადინეობამ ჭიათურას მიანიჭა უწარჩინებულესი დაწესებულება, რომელსაცა ჰქვიან მწარმოებელთა სიეზდი. ამ სიეზდსა აქვს თავისი საბჭო, რომელიც განაგებს დიდის წარმოების მრავალ-გვარ საქმეებს, ზრუნავს მისს გაძლიერებისათვის და აკმაყოფილებს ათას საჭიროებას. ყველა ამისთვის „სიეზდს» მინიჭებული აქვს უფლება განაწესოს მცირეოდენი გადასახადი მწარმოებლებზედ, რომ დრო-გამოშვებით შეჰკრიბოს ფული საერთო მოთხოვნილებათა გასაძღოლად. ასე მიგროვილი ფული უდრის წელიწადში ასი-ათას მანეთიდგან ორას-ათას მანეთამდე. იმის მიხედულობით, თუ რამდენად გაიზრდება და გაძლიერდება საქმე, იმდენად იმატებს თვით წლიური შემოსავალი, რომელსაცა აქვს დანიშნულება ემსახუროს საზოგადოდ ყველა მრეწველის საჭიროებას.

აი, ასეთი საქმე ითავა ბ-ნმა ზდანოვიჩმა და კიდევაც განახორციელა იგი ჩვენდა სასიქადულოდ.

გაიხსენეთ, რამოდენა მეცადინეობა მოუნდათ ჩვენის თავად-აზნაურობის უკეთესს წარმომადგენლებს, რამოდენა ფული გამოიღეს და რამდენნი იყვნენ იგინი, რომ დაეარსებინათ ქუთაისისა და ტფილისის საადგილ-მამულო ბანკები, რომელთა წლიური შემოსავალი მხოლოდ ოცისა და ოც და ხუთის წლის მოქმედების შემდეგ ძლივს გასცდა ასი-ათას მანეთს. მიუხედავათ ამისა, ჩვენ ყველანი განუსაზღვრელ მადლობასა ვწირავთ მათ, ვინც ამ საშვილი-შვილო საქმეს გაუწია სამსახური, და რაღა თქმა უნდა, რომ ეს მადლობა ერთი-ათად მომეტებული უნდა იყოს ბ-ნ ზდანოვიჩის მიმართ, იგი თითქმის მარტოკა შეეჭიდა ამ ძნელ საქმეს, და აგერ დღეს ზემოხსენებულმა შემოსავალმა სიეზდისამ სული ჩაუდგა ჭიათურას, სადაც ეხლა ჩვენა ვხედავთ გაჩაღებულ მუშაობას სხვა-და-სხვა საზოგადო შენობებზედ. ეს საუკეთესო აბანოები, რომლებთანაც თვით ტფილისის აბანოებიც თითს მოიხრიან, ეს კოხტა ეკკლესიაო, სკოლის შენობაო. არ გაივლის რამდენიმე ხანი, რომ იქ დაიწყებს მუშაობას ჩინებული წყალ-საყვანი, ელექტრონის განათება, სახალხო თეატრი და ელექტრონის რკინის-გზა შავი ქვის საზიდად უმთავრეს გზაზედ. განა, ყველა ეს საკმარისი არ არის, რომ მისი სულის ჩამდგმელი პირზედ გვეკრას ამერეთშიაცა და იმერეთშიაც, ყველანი გავიძახოდეთ

ალბად სწყალობენ ვაჟ-კაცსა
ის ანგელოზნი ზენანი.

მაგრამ, აბა, ახლა ჩვენს პუბლიცისტს ბ-ნ ქვარიანსა ჰკითხეთ. მოუსვა ერთი კალამი, და გაჰქრა ყველაფერი, თითქო აღარც სიეზდია, აღარც საბჭო, არც აბანო აშენებულა, არც ეკკლესიის საძირკველი ჩაყრილა, არც საზოგადო საქმე მზადდება და უქადის ღირსეულ სასყიდელს მრეწველებს, არც ერთი და აღარც მეორე. ხოლო თვით ზდანოვიჩი სრულებით უსაფუძვლოდ და ტყუილ-უბრალოდ გვიცვნია პატივცემულ კაცად, რადგან იგი ყოფილა ერთი ვიღაც ყაჩაღი, რომელსაც წაურთმევია ჩვენთვის ჭკუა-გონება და იმის წყალობით მოუჩვენებია შავი თეთრად. გარდა ამ უცნაურის თილისმობისა, ბ-ნ ზდანოვიჩს უხმარია ცნობილი თილისმაც—მოუსყიდნია თვეში ათ-ათ თუმნად მწერლები და უწერინებია გაზეთში სხვა-და-სხვა რეკლამები, ტყუილი ამბები, მისი ქება-დიდება და კიდევ ბევრი რამ ამისთანა.

ილია ჭავჭავაძეს თუ ძალუმი კრიტიკოსი არგუნა ბედმა, გიორგი ზდანოვიჩს კიდევ ღმერთმა აჩუქა ღონიერი პუბლიცისტი, რომელსაც დღეს იქით სიტყვას ველარ შეუბრუნებს ბ-ნი კიტა აბაშიძე, თუ ჭკუას არის; თუ არ არის ჭკუასა და, თითონ იცის ბ-ნმა

მრეწველთ, მოწადინებულია როგორმე დააკმაყოფილოს მათი აუცილებელი მოთხოვნილებანი, მაგრამ ყოველისავე ამისათვის საჭირო საქმის მცოდნე, გულშემატკივარ და გამოცდილ კაცთა აზრი, თუ რა ღონისძიება უნდა იქმნას მიღებული მწვავე საკითხის მოსაგვარებლად და განსახორციელებლად. მთავრობამაც სწორედ ამ საშუალებას მიჰმართა: თავს უყრის ერთად გამოცდილ კაცებსა და მთელს საზოგადოებათა, რომელთა ხანგრძლივ მოღვაწეობა და დაკვირვება თავდებია იმისა, რომ დაავადებულ მეურნეობის სენს ადვილად გამოიკვლევენ და ეს ხომ ნახევრად განკურნება მაინც იქნება ამ სნეულისა.

მთავრობის მოწოდება არ დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა: საგუბერნიო, თუ სამაზრო კამიტეტებში გაცხარებული მუშაობაა; არკვევენ სხვა-და-სხვა საკითხებს, არდგენენ მოხსენებათ, ასახელებენ ამა თუ იმ ღონისძიებას მიუცილებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად და სხვა-და-სხ. მაგრამ, როდესაც დაახლოვებით ჩაუკვირდებით ამ კომიტეტების შრომას, რწმუნდებით, რომ დიდი უმრავლესობა დღევანდელ საბჭო-სათათბირო საგნებისა არა ერთხელ ყოფილა წინადაც აღძრული და სადაც ჯერ არს წარდგენილი მათ შესახებ შუამდგომლობა, მაგრამ მეურნეთა სავალალოდ ან სრულებით არ აქცევდნენ მათ ყურადღებას და გაუსინჯავად სტოვებდნენ პეტერბურგის კანცელარიებში, ან-და უარს უთვლიდნენ მთხოვნელთ. რაიც შეეხება რუსეთში პურის ვაჭრობის მოწეს-რიგებას, რომელიც მოსკოვის სამეურნეო საზოგადოებას დაევალა განსახილველად, თურმე, ამაზედაც ჰქონით წინადაც ლაპარაკი და მთავრობისათვისაც რამდენჯერმე მიუმართავთ შუამდგომლობით—ესა და ეს საშუალებაა საჭირო საქმის გასაუმჯობესებლადო, მაგრამ ყოველმავე ცდამ ამაოდ ჩაიარა. მოხსენებული იყო ისიც, რომ, თუ ამ შუამდგომლობათათვის დროზედ მიექციათ ყურადღება, დღეს აღარ გახდებოდა მეათედ და მეასედ თავში საცემად მათ შესახებ ბჭობა-თათბირი. წარმოიდგინეთ, საზოგადოება იმდენად დაშინებულა, რომ დღესაც სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი: რა გამოვა თქვენის შუამდგომლობით, რომელი ერთი დააკმაყოფილეს, რომ ეგ დააკმაყოფილონო—გაიძახიან ზოგნი მოსკოვის სამეურნეო კომიტეტის სხდომებზედ. მაგრამ ამ „ურწმუნოთა" წინააღმდეგ საქმის მეთაურთ ის განაცხადეს, რომ ძველი მაგალითები დღეს სახეში მისაღები არაა, რადგან წინად ამა თუ იმ შუამდგომლობას კისრულობდნენ კერძო პირნი, ანუ დაწესებულებანი, ერობანი, პურის ვაჭარნი და სხ. და ისეთს საკითხებს ეხებოდნენ, რომელთა შესახებ მთავრობას არ მოეძევებოდა საკმაო საბუთები, ან ნაადრევად მიაჩნდა იგიო; მხოლოდ ეს იყო მიზეზი, რომ მათს შუამდგომლობას გასავალი არა ჰქონდაო. ეხლა-კი სულ სხვაა; თვით მთავრობა იწვევს საზოგადოებას, მაშასადამე, მისთვის საგულისხმოა მოჭირნახულე კაცების აზრი; სწორეთ მათ მიერ გამოთქმულ აზრით უნდა იხელმძღვანელოს მთავრობამ მომავალ სამეურნეო საჭიროებათა დაკმაყოფილების საქმეში და, განა, შესაძლებელია, რომ უყურადღებოდ დასტოვოს მათ მიერ აღძრული საკითხები. ყოველ ამისდა მიხედვით საჭიროა, რომ, რაც შეიძლება, უფრო დაწვრილებით, უფრო ვრცლად აღინიშნოს ყოველივე, რაც სამეურნეო მრეწველობას შეეხება და. ისე წარუდგინოს მთავრობას. ასევე უნდა მოიქცეს ის ჟურნალ-გაზეთობაც, რომელიც ყურადღებას აქცევს მეურნეობის ბედ-იღბალსა; მათი ხელ-მძღვანელნი უნდა დარწმუნებულნი იყვნენ, რომ დღეს გაუწევენ იგინი დიდს ამაგს მეურნეობა-მრეწველობას საქვეყნოდ გამოთქმულ სამართლიან სიტყვით, გაუზიარებენ საზოგადოებას მეურნეობის ავსა და კარგსა, ყველას მისცემენ საშუალებას, თვით ასწონ-დასწონოს ყოველივე გარემოება. მაშინ, უეჭველია, არა ერთი საქმის გარეშე მყოფი დაინახავს საჭიროდ თავისი წვლილიც შეიტანოს საერთო შრომაში და მით გაუადვილოს მთავრობას საუკეთესო ღონის-ძიებათა გამონახვა.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ის მოვლენა, რომ სწორედ სანაქებო გულ-მოდგინეობით მოეკიდნენ ნაკისრ საქმეს ადგილობრივ საზოგადოებათა წარმომადგენელნი და მცოდნე კაცნი. გამუდმებულად მუშაობენ, სინჯავენ და ირკვევენ აუარებელს მასალას, რომელიც ყოველის კუთხიდგან მოსდის ზემოხსენებულ კომიტეტებს. მათ ხშირად ხვდებათ ისეთ საგნების განხილვაც, რომელიც არა ერთჯერ ყოფილა წინად აღძრული, მაგრამ ეს ხომ იმას მოასწავებს, რომ სწორედ ამ საჭიროებათა დაკმაყოფილება არამც თუ დღეს, უწინაც-კი აუცილებლად უცვნიათ და, მაშასადამე, ეხლა მაინც უეჭველად უნდა განხორციელდეს იგი.

ღირს-შესანიშნავია ის გარემოებაც, რომ, მიუხედავად საზოგადოებრივის აზრის განუვითარებელობისა რუსეთში, ამ უკანასკნელს ხანებში დრო-გამოშვებით მაინც იჩენს ხოლმე იგი ცხოველმყოფელობასა და ძალა-უნებურად იქცევს საზოგადოების ყურადღებას. ცხადია, რომ მხოლოდ ადმინისტრაციას არ ძალ-უძს ხალხის ათასგვარ ნამდვილ მოთხოვნილებათა გამორკვევა და მათ დასაკმაყოფილებლად საჭირო ღონისძიებათა მიღება. აუცილებლად საჭიროა, რომ თვით საზოგადოება მიეშველოს და ხელი შეუწყოს მას ამა თუ იმ საჭირო საკითხთა შემუშავებაში; ამას მოითხოვს ნამდვილი მამულის შვილობა, ამასვე მოითხოვს სახელმწიფოს კეთილ-დღეობაც. სწორედ ამ გზას ადგია დღეს მთავრობა: მოუწოდა საქმის გასაკეთებლად ამ საქმისავე პატრონებს, რომელნიც იმედია კეთილად დააგვირგვინებენ თავის საშვილი-შვილო შრომას და გაამართლებენ საზოგადოების იმედებს. ვუსურვებთ მხოლოდ, რომ მეტის წინდახედულობით და საქმის ჩაკვირვებით შეესრულებინოთ მათ თავიანთი მოვალეობა, სავსებით ესარგებლოსთ მთავრობის მიერ მინიჭებულ უფლებებით, რომ მათი შრომა არ დარჩენილიყოს უნაყოფო მასალად, არამედ მალე ჰღირსებოდეს განხორციელება ხალხის საბედნიეროდ და საკეთილდღეოდ.

უცხოეთი

ოსმალეთი. სტამბოლიდგან ატყობინებენ „Nevs Freie Presse"-ს, ვითომც ხონთქრის პირადის თხოვნით მიტროვიცაში რუსის კონსულის დაბინავება, მოსალოდნელ სისხლის ღვრის შიშის გამო, ჯერ-ჯერობით გადადებულიათ.

ამ ჟამად ოსმალებს მოლაპარაკება აქვთ ალბანელთა მეთაურებთან. განზრახვა აქვთ დააშოშმინონ როგორმე ისინი და სტამბოლს მიიტყუონ.

ბელგრადიდგან იუწყებიან, ისსამ მართლაც მიიღო „მიპატიჟება" სტამბოლისა, მაგრამ წასვლაზედ უარი განაცხადა და ეხლა ოსმალეთის საწინააღმდეგოდ ჯარს ამზადებსო. მის ხელთ ეხლა 2,000-მდე ალბანელია, სულ მიტროვიცის არემარის მცხოვრებნი. იგინი ამაგრებენ ისსას ციხეს, რომელიც სოფელ ბოლეტინშია და ეზიდებიან იარაღსა და სურსათსა, თავისი ოჯახობა ისსას მიუვალ მთაში გაუგზავნია. ისსას კიდევ დაუქადნია, თუ რუსის კონსულმა ბინადა ფეხი შემოსდგა მიტროვიცაში, მეისვე გამოვასალმებ წუთი-სოფელსაო...

სერბია. მაკედონელთა ბელადის ბორის სარაფოვისათვის, რომელიც შეიპყრეს ამას წინად სერბიაში და ბელგრადს გაგზავნეს, თურმე ჩვენება ჩამოურთმევიათ, გამოთავისუფლებიათ და ურჩევიათ სერბიის სამფლობელოდგან გასვლა.

ავსტრია-უნგრეთი. ამ დღეებში 100 წელიწადი შესრულდა უნგრეთის ერთგულ გმირის ფრანც კოშუტის დაბადების დღიდგან. უნგრეთმა დიდის ამბით იდღესასწაულა თავის საყვარელ გმირის იუბილეი.

კოშუტი ღარიბი აზნაურის შვილი იყო. იმისი მშობლები სლავიანის ჩამომავლობისა იყვნენ, სარწმუნოებით პროტესტანტები. კოშუტის გვარეულობა დიდ როლს თამაშობდა უნგრეთის ისტორიაში და ყოველთვის ავსტრიის აბსოლიუტიზმსა და ბატონობას ებრძოდა. კოშუტის წინაპრები რამდენიმე სიკვდილით დასაჯეს, ზოგი უნგრეთიდგან განდევნეს, ზოგისთვის კიდევ მამული ჩამოურთმევიათ. ფრანც კოშუტმა იურიდიული განათლება მიიღო; პოლიტიკურ ასპარეზზე გვიან გამოვიდა. 1841 წლიდგან ბუდაპეშტში გამოვიდა პოლიტიკური გაზეთი „პესტი ჰირლაპ"-ი ამით ახალი ხანა დაიწყო უნგრეთის ისტორიაში. ეს გაზეთი 1848 წლის ქარიშხლის მომასწავებელი იყო. გაზეთმა-კი არ შექმნა, რასაკვირველია, მოძრაობა, პირ-იქით, კრიზისი არსებობდა, მაგრამ ჯერ შეგნებული არ იყო. „პესტი ჰირლაპ"-მა შეიგნო და აუწყა ყველას ამ კრიზისის ამბავი. კოშუტის წერილები, სადაც უნგრეთის ერის უფლებასა და სურვილს იცავდა, ცოცხალი კაცის მხურვალე და წარმტაც ლაპარაკს მოგაგონებდათ. კოშუტი გაზეთში ლუკმა-პურისთვის არ სწერავდა, გაზეთი იმისთვის ხალხის გამოსაღვიძებელი იარაღი იყო. კოშუტს დაბადებიდგანვე დაჰყვა პოლიტიკოსის ნიჭი და უნარი. ამისთანა პოლიტიკოსს მხოლოდ თავისუფალ პოლიტიკურ ცხოვრებისათვის მომზადებული ქვეყანა დაჰბადავს. კოშუტი იყო პუბლიცისტი, საერო ორატორი, პარლამენტის მოღვაწე და სახელმწიფო კაცი. ცალკე ფურცლებში ხალხს პარლამენტის და საოლქო კრებების მოქმედებას აცნობებდა, პოლიტიკურ პროგრამას ადგენდა და არეულ ოპოზიციას აერთებდა. ამაზე ვენის მთავრობის ბრძანებით კოშუტი დაიჭირეს და ოთხის წლით ციხეში დაპატიმრება გადაუწყვიტეს, მერე-კი უნგრეთის პარლამენტის ბეჯითის მოთხოვნილებით ისევ განთავისუფლეს. კოშუტი მალე უნგრეთის პარლამენტის წევრად აირჩიეს და იქ ეს, აქამდე უცნობი, ღარიბი კაცი, ნამდვილ წინამძღოლად გაუხდა პარლამენტს. მაშინვე ცხადად შეიგნო თავისი დანიშნულება და საქმე: უნგრეთში ეროვნული თვით-ცნობიერება გაეღვიძებინა, პოლიტიკური ცხოვრება დედა-ქალაქში მოეთავსებინა, ადგილ-მამულეთა და მრეწველთა გაეძლიერებინა, დამოუკიდებელი საშუალო კლასი შეექმნა და სამშობლოს ეროვნული სიმდიდრე გაეგრძელებინა, ერთი სიტყვით, პატრიარქალური ქვეყანა ახალი დროის სახელმწიფოდ გარდაექმნა. პარლამენტის გარდა კოშუტი ამხანაგობებსა და კრებებშიაც მოქმედებდა და ამ ასპარეზზედაც ახალი საზოგადოებრივი ცხოვრება დაჰბადა.

1848 წლის 3-ს მარტს კოშუტმა პარლამენტში სიტყვა წარმოსთქვა და ამით რევოლიუციას კარი გაუღო. ათი დღის შემდეგ ეს სიტყვა ვენის ქუჩებშიაც წაიკითხეს და აქაც ხალხის მოძრაობა დაიწყო. სამის დღის შემდეგ კოშუტი თითონაც მივიდა ვენაში. ხალხმა დიდის აღტაცებით მიიღო: ყვავილებით, სადღესასწაულო ბაირაღებითა და დიდის სიხარულით დაუხვდა.

უნგრეთის რევოლიუციას დაწყების დროს მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა. უნგრეთის პარლამენტმა მშვიდობიანად და კანონიერად წარუდგინა თავისი მოთხოვნილება ვენის მთავრობას და თავისიც გაიყვანა. შემდეგ მთავრობამ ხორვატებისაგან დაარღვია უნგრეთისათვის მინიჭებული უფლება ერთბაშად, მაგრამ ამ დროს კოშუტმაც ძალას მიჰმართა და მთელი უნგრეთი საბრძოლველად შეამზადა. სლავიანებმა მაშინვე კარგად შეიგნეს, თუ რა ძალა იყო იმათთვის უნგრეთის ერის გაძლიერება; ვენის მთავრობამაც ისარგებლა ამით და ხორვატიის მთავარ-მართებელი ელაჩიჩი უნგრეთს მიუსია. როცა ელაჩიჩი ჯარით უნგრეთისკენ გაემართა, კოშუტიც ხელად დაუძახა საომრად; დიდი მხნეობა და გამჭრიახობაც გამოიჩინა. ღარიბ და მოუწყობელ ქვეყანაში ხელ-და-ხელ დიდი ჯარები შექმნა და საომრად გაიყვანა. ავსტრია ვერას გახდებოდა უნგრეთთან, მაგრამ რუსეთმა დახმარება გაუწია და ავსტრია დაღუპვას გადაარჩინა. უნგრეთის მთავარ-სარდალმა გეორგეიმ ვილაგოშასთან იარაღი დაჰყარა და მორჩილება გამოუცხადა ავსტრიას. ამის შემდეგ კოშუტი უნგრეთიდან ოსმალეთში გაიქცა.

„ემიგრანტის წერილებში" კოშუტს ასე აქვს აწერილი ეს წამი: „როცა ვილაგოშასთან ჩვენმა ჯარმა იარაღი დაჰყარა და მე სამშობლო დამეკარგა, ჩემს გულს სწორედ გამოუთქმელი ქარ-ცეცხლი მოედო. კვნესითა და ტირილით სამშობლოს მიწაზე დავეცი, ვკოცნიდი და ვემშვიდობებოდი; ერთი მუჭა მიწა თანაც წავიღე უცხოეთში».

ოსმალეთს მოსთხოვეს კოშუტის გაცემა, მაგრამ უარი განაცხადა, კოშუტი განთავისუფლდა, მაგრამ სამშობლოს-კი სამუდამოდ დაჰშორდა. ამისი ბედიც ის იყო, რაც ყველა ემიგრანტებისა: სამშობლოსთან კავშირი სამუდამოდ გაუწყდა. ამიტომ იმის ნამდვილი ცხოვრებისა და განვითარების აღდგომა ვეღარ ნახა. რასაც კოშუტი ოცნებობდა და უნდოდა, ერთს წამს მოახდარიყო, ეხლა თან-და-თან სრულდება და დღესაც არაა საბოლოოდ ასრულებული.

როცა 1866 წელს ავსტრია კენიგრეცთან დამარცხდა, უნგრეთმა ისარგებლა ამით და დიდი უფლება მოიპოვა, მაგრამ ამ ამბავმა კიდევ ერთხელ გაუცრუა კოშუტს იმედი. კოშუტმა დასწერა ამ დროს: „ერთი მეგობარი ჩემის „ემიგრანტის წერილების" თაობაზე მწერს: ეხლანდელს უნგრეთს აღარ ესმის თქვენი მიმართულებაო. იქნება ჩემი მეგობარი მართალსაც ამბობდეს! სწორე მოგახსენოთ, ვერც-რა მე გამიგია ეხლანდელ უნგრეთის"-აო.

მაგრამ ერთ წრეს-კი კარგად ჰქონდა ყოველთვის შეგნებული კოშუტის მიმართულება და დღესაც კარგად ესმის; ეს წრე გახლავთ ვენის მთავრობა. იგი კარგად ჰგრძნობს, თუ რა მჭიდრო კავშირი აქვთ კოშუტის პროგრამასა და უნგრეთის ეხლანდელ პოლიტიკურ ცხოვრების მსვლელობას. კოშუტის სახელი ყოველთვის შიშსა ჰგვრიდა და სიძულვილს აღძრავდა ამ წრეს. უნგრეთის გმირის სიკვდილმაც-კი ვერ ჩააქრო ეს შიში და სიძულვილი.

კოშუტი გარდაიცვალა იტალიაში, ქალაქ ტურინში 1894 წ., 20 მარტს.

ბიბლიოგრაფია.

ჩვენს დაუღალავად მშრომელს და მრავალ ქართულ წიგნის გამომცემელს, ი-ხს ზ. ჭიჭინაძეს შეუდგენია და დაუბეჭდავს დასაბეჭდათ შემდეგი ახალი წიგნები:

1) არქიმანდრიტი პავლე (ჭილიძეხაშვილი) მაჭკუდიანი (1769—1854) და მის დროის ზოგი რამ საყურადღებო ცნობანი ქართველ კათოლიკეთა შესახებ. მაჭკუდიანის ხატები წიგნშია და მათი [illegible].

2) კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში. აღწერილია კათოლიკეთა ეკლესია ეკლესიები სხვა-და-სხვა ისტორიულ ცნობათა მიხა და მიგ ჩართვით. გვიდის წარწერანი, ძველ საფლავის ქვა-

---

ქვარიანმა: აქამდის თუ აკმარა მოსყიდულის სახელი, ამას იქით ისეთს უცნაურს რასმე მოუგონებს, რომ შეხტეს და შემოტრიალდეს, დაჰკარგოს ყოველივე ცნება. ნუ-კი გვეხუმრება ბატონი დირექტორი, გაიგოს და შეიტყოს, რომ ჩვენ პუბლიცისტიკაში ბევრს გაუსწრობთ კიდეც წინა და უკან-კი არავის ჩამოვრჩებით.

* * *

ერთი კაი დამფასებელი ეხლა ბ-ნ ნიკო ნიკოლაძისთვისაც დაგვეკირდება, რადგან მოახლოვდა დრო ხმოსანთა არჩევნებისა ტფილისში და ქალაქის თავის ადგილზედ ასახელებენ სხვაზედ უმეტესად ნ. ი. ნიკოლაძეს. ღმერთი მოწყალეა და ამიტომ ნუ დავკარგავთ იმედსა, რომ ამ ჩვენს მოღვაწესაც გამოუჩნდება თავისი გომართელი ან ქვარიანი, რომელნიც ქართველის კაცის ნიჭიერებას გამოიჩენს და ერთის კალმის მოსმით ძირს დაანარცხებს მისს ამდენის ხნის მოღვაწეობას. მანამ ასეთი ფალავანი აიღებდეს ხელში კალამს, ჩვენ მაინც ჩვენსას ნუ დავიშლით და აღვნიშნოთ ის მიზეზნი, რომელთაც კვლავ მოაგონეს ტფილისელებს სახელი კაცისა, რომელიც თითქმის აგერ ათი წელიწადია გადიხვეწა აქედგან და თავისი სარბიელი გადიტანა პაწია ფოთის მოედანზედ. მას აქედ, როგორც ჰხედავთ, კარგა ხანმა განვლო. ამ ხანში ტფილისმა დიდი მწუხარება გამოიარა. მაშინ როდესაც ამ ქალაქის უწინდელმა თვითმმართველობამ დაიმსახურა თვით დიდრონ ქალაქების ყურადღება თავისის მხნეობითა და პროგრესიულის მოქმედებით, უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში თითქმის მიწასთან გაასწორა თავისი სახელი და დიდება, გაუთხარა ძირი თვითმმართველობის პრინციპსა და იქამდე მიიყვანა საქმე, რომ დღეს არა თუ ყურადღებას აღარავინ აქცევს, პირიქით ყველასაგან თავში ჩასაფარებელი შეიქმნა; ჩვენმა თვითმმართველობამ დაჰკარგა ნდობა არა თუ მარტო ადმინისტრაციისა, რომელიც ეჭვის თვალით უყურებს ყოველს მის ნაბიჯს, არამედ დაჰკარგა ნდობა თვით მოქალაქეებისაც-კი, რომელთა სამი მესამედი მაინც რადაცა მტრულ გრძნობას იჩენს მისადმი.

ამავე დროს ტფილისი მეტად გაიზარდა, ხალხის მრავალმა საჭიროებამ წამოჰყო თავი და ტყუილად ელის დაკმაყოფილებას ქალაქის მოღვაწეთაგან. ვინც-კი დააყენეს თვითმმართველობის სათავეში მატინოვისა და იზმაილოვის შემდეგ, ყველა ისეთი გამოდგა, რომ სირცხვილისაგან აღარ ვიციოდით, საით გადავხვეწილიყავით. ამისთანა გარემოებით შემორტყმულებს მეტი რაღა დაგვრჩენია, რომ ხელი არ ჩავჰკიდოთ ისეთს კაცს, რომელმაც თავისის ჰკვიანურის საქმიანობით დაიმსახურა ყურადღება მთავრობის უმაღლეს მოხელეებისა და ამავე დროს ფოთის მოქალაქეთა განუსაზღვრელი პატივისცემა და სიყვარული. სხვა რომელი ქალაქის თავი მოუხერხებდა იმისთანა ღარიბსა და მწირ ადგილს, როგორც აქამდე ფოთი იყო, რომ მისს მართველობისთვის ნება მიეცათ მილიონების სესხის გამოცემისა, და ვის ხელში ეღირსებოდა ფოთი, რომ მისს ობლიგაციებს, მისს თამასუქებს სახელი გაეკეთებინათ მთელის იმპერიის ბირჟაზედ. ამას დიდი ცოდნა, დიდი მოხერხება და შესამჩნევი გამოცდილება უნდა, რომ დაწყებული საქმე არ ჩაიშალოს შუა გზაზედ და სირცხვილი არ აჭამოს არც მისს დამწყებს და არც მთელს ქალაქს.

აი, სწორეთ ასეთი კაცი ეჭირვება ჩვენს ტფილისს, რომ კვლავ გამოაბრუნოს მისი სახელი, მოუპოვოს თვითმმართველობას აღრინდელი ნდობა და პატივისცემა ადმინისტრაციისა, სიყვარული მოქალაქეებისა და ამავე დროს მთელის კავკასიისა. ეს ნდობა შეაძლებინებს ჩვენს თვითმმართველობას, რომ გაიმართოს ბირჟაზედ ხელი. იშოვნოს რამდენიმე მილიონი სესხი და ამ ფულით გაიკეთოს შესაფერი ბაზრები, საქალაქო ბანკები, გასჭიმოს მტკვრის ორსავე ნაპირზედ სწორე ქუჩები, „ნაბერეჟნაია" რომ ეტყვიან რუსულად, გააფართოვოს წყალსაყვანი, შეიძინოს აბანოები და გამართოს მოწყობილი კურორტი, რომელსაც წლითი-წლობით აწყდებოდეს მდიდარი ხალხი დედამიწის ყოველ კუთხიდამ. ჩააყენოს ტფილისის მიდამოებში ტბები, რომელნიც ედემის სიტურფეს შეჰმატებენ ჩვენს დედა ქალაქს, და გააჩინოს გარშემორტყმულ ხრიოკ მთებზედ ტყეები, რომელნიც სილამაზესთან ერთად ემსახურებოდნენ ქალაქის ჰაერის გაზომიერებასა და სისუფთავეს. ვინც ასეთს კეთილ განწყობილებას მოუხერხებს ტფილისს, იგი შეჰმატებს მას რამდენსამე მილიონს წლიურს შემოსავალს, რომელიც ადვილად გაუძღვება ვალის გასტუმრებასაც და ამავე დროს ერთიანად ასწევს მოქალაქეთა კეთილდღეობას.

ტფილისელების აზრით, ყველა ამას შესძლებს ნ. ი. ნიკოლაძე, და ვნახოთ ახლა, რას გვეტყვიან ამაზედ ქართველი კრიტიკოსები და პუბლიცისტები, ბ-ნნი გომართელი და ქვარიანი, რომელნიც არ შეიტკივებენ თავს იმის გადაწყვეტით, თუ

კარგს კაცს როგორ დაუკარგონ
რაც რამ სიკარგეცა აქვსო.

* * *

ერთს მეტად სიმპატიურს კანდიდატს კიდევ ასახელებენ ქალაქის მოურავად. ეს არის ყოფილი წევრი ტფილისის ქალაქის გამგეობისა თ-დი ა. მ. არღუთაშვილი-მხარგძელი. მისი მხნეობა და თავგამოდებული საქმიანობა ცნობილია მოქალაქეთა მიერ და შემოწმებულია თვით განაჩენით სამოსამართლო პალატისა, რომელსაც უნდა დაესაჯა იგი ვითომ-და სამსახურის ცუდად მესრულებისათვის და რომელმაც, ნაცვლად დასჯისა, ისეთი ქება-დიდების მოწმობა მისცა, რომ გინდა თვით საფრანგეთის პარლამენტის გამგეთ ამოუდგება გვერდში.

ვნახოთ, ვისზედ გაჩერდება ჩვენი მომავალი საბჭო. ქართველ საზოგადოებას ამერეთში ხომ ჯერ-ჯერობით სეირის ყურება არგუნა ბედმა და საკუთარმა უზრუნველობამ.

საკვირველია, რატომ ამ მხრივ ცოტათი მაინც არა ვგევართ იმერეთის ქართველობას?! კანონმა მოგვანიჭა უფლება მონაწილეობის მიღებისა სამოქალაქო საქმეებში და ჩვენ-კი გავურბით ამ უფლებას. ხმოსნების ამორჩევის ცენზი აქვს ტფილისის ქართველობას იმდენი, რომ ამომრჩეველთა პირველსა და მესამე რაიონში თითქმის ორას-ორასი ხმა გვაქვს ამ ქალაქია დღე აწყდება სომხობა და რუსობა, გაქვლა გამგეობის გზა და გააქვს ბილეთები, ურომლოთაც არჩევნების დროს ხელიც არავის შემოგვხედავს, არა თუ ყუთებამდის არ მიგიშვებენ, და ამ გაცხარებულ დროს ქართველობას თითქო არც-კი შეუტყვია, რომ სეკდემბრის 22-დან დაიწყება ხმოსანთა არჩევის კრებები. წარმოიდგინეთ, რომ ამოდენა ქართველ ამომრჩეველთაგან სულ ათს კაცს არ გაუტანია ზემოხსენებული ბილეთი! ხეტა რაღას ან ვიღას ელოდებიან ეს მამაცხონებულები?! ნუ-თუ უკანასკნელ დღემდის არ მოგოგონდებათ არჩევნები, რომ მაშინ კიდევ თავი იმართლონ—„იმ დღეს ვერ მოვასწარით, უბილეთონი დავრჩითო".

მაშ რაღას ვყვირით, რომ ტფილისი ჩვენი დედა-ქალაქიაო. თუ-კი ჩვენნი წინაპარნი სიცოცხლესაც-კი სწირავდნენ, ოღონდ მისს ნიადაგზედ არ გაეტარებინათ მტერი, თუ-კი ისინი თავიანთის წმინდა სისხლით რწყავდნენ ყოველს ნაბიჯს დედა-ქალაქისას, რომ შეენახათ იგი თავიანთის შთამომავლობისათვის, ნუ-თუ ჩვენ, ამ გმირთა შთამომავალნი, იქამდე დავსახიჩრდით, რომ ისიც-კი ველარ გვიზრუნია და ვერ გვიდვია თავსა, რომ წილი დავიდოთ სასურველ წარმომადგენელთა ამორჩევაში? კიდევ ვინ რას იტყოდა, რომ არ გვესმოდეს, რა დიდი მნიშვნელობა აქვს რიგიან ხმოსნების ამორჩევას ჩვენის დედა-ქალაქის კეთილ-დღეობაში. ძნელი ის არის, რომ ესა და ბევრიც სხვა გვესმის, მაგრამ რა გამოვიდა, რომ ჩვენს მესმენილობას მარტო არტყელ-არტყელი ლათაიები მოსდევს ხოლმე და საქმეზედ-კი ასე უკაცრიოდ გაილავართ. ხეტა, ვისი იმედი გვაქვს!—ნუ-თუ საწყენი არ უნდა იყოს ჩვენთვის, რომ ჩვენში წარმომადგენელში სხვამ ამოგვირჩიოს და ჩვენ-კი ამაში მონაწილეობა არ მივიღოთ?! ესა ყოფილა ჩვენი მოქალაქობრივი თავმოყვარეობა, ჩვენი საზოგადოებრივი განვითარება. ერთი მიიორმანეთ, ასეთი საგძლით რა მანძილი უნდა გავიაროთ ცხოვრების ეკლიანს გზაზედ.

მაგრამ თავმოყვარეობას კიდევ ჯანი და სული, წარმსულია, თუ-კი ამოგვირჩიეს. ნატკენ გულს გაგვიმთელებენ ქართველი ხმოსნები, რადგან სამსახურში იციან თავის გამოჩენა. ახლა ერთიც ვნახოთ, სხვებმაც ზურგი შემოგვაქციეს იმ აზრის მიხედვით, რომ ყველა თვითონ უნდა ცდილობდეს თავის ლელოს გატანასაო, და ამიტომ ქართველს კაცს

რაც თვით ეხნას, ეთესოს
აზუ დაეფარცხოს,
ის მოიმკოს, გალეწოს,
დაიფქვას და აცხოს.

მერე რაღა გვეშველება?! ნუ-თუ საკმარისი არ არის, რომ ეს ათი წელიწადი აღარ დაგვინახავს ჩვენის დედა-ქალაქის საბჭოში ქართველი ხმოსანი, რომელიც მტრად არ უყურებდეს გარშემორტყმულ ქართველთა სოფლებს და მათ მცხოვრებლებს. ნუ-თუ ქართველების საჭიროებას არ უნდა პყავდეს ქართველი წარმომადგენელი იმ დაწესებულებაში, სადაც სწყდება მომეტებული ნაწილი ჩვენის დედა-ქალაქის ბედ-იღბლისა.

ეს კანდიდატებად ხომ დაგვასახელებსო და მეტი რაღა უნდა მოეთხოვებოდეს ჩვენს მოქალაქობრივს მისწრაფებასაო, უზრუნველად გაიძახის გულში ქართველი კაცი, და ის-კი ავიწყდება, რომ კანდიდატად დაასახელებენ სამას-ოთხას კაცს და არჩევანით-კი მარტო 96 კაცი უნდა ამოარჩიონ, ხოლო აქედამ მარტო 80 კაცს ეღირსება საბჭოს ხმოსნობა...

სანო.

თა წარწერანი, ანუ ეპიტაფიები, დრო ეკკლესიათა აღშენებისა და ცნობანი მის მაშენებელთა შესახებ.

3) **დაბა, სოფელი და ქალაქი**, სადაც ძველად ქართველ გვარის კათოლიკენი სცხოვრობდნენ, დღეს სად რაღა რიცხვია დაშთენილი; ქართველ კათოლიკეთ სად დაჰკარგეს დედა-ენა და სად დაიცვეს ოსმალეთის საქართველოში. ვრცელი ხელთნაწერია და შიგ ჩართულია მრავალი ცნობა დაზისტანის ქართველ კათოლიკეთა, კონსტანტინეპოლის, ტრაპიზონის და სხვათა ადგილთა კათოლიკეთა შესახებ. სად იყვნენ და აწ აღარ არიან ქართველნი კათოლიკენი და სად დაჰკარგეს ქართული ენა.

4) **ზუბალაანთ გვარის აღწერა.** აღნიშნულია დრო ზუბალაშვილების გვარის წევრთა ოსმალეთში განსვლისა, შემდეგ მათ მიერ კათოლიკობის მიღება, ანუ XVIII და XIX საუკუნოების ზუბალაშვილების გვარის ზოგიერთნი წევრნი, მათი გვარის გაძლიერება, მრეწველობაში თავის გამოჩენა, არყისა და მარილის ქარხნების დამართვა საქართველოში. ამას გარდა, ხელნაწერში ბევრი რამ ცნობაა ქართველ კათოლიკეთა შესახებ და ნამეტნავად ზუბალაშვილების შესახებ. ზუბალაშვილების გვარის წარმომადგენნი დღეს და მათის გვარტომობის ხე.

5) ქართველ კათოლიკეთა გრიგორიანთ სარწმუნოებაზედ გადასვლა ქ. ქუთაისს, მეფე სოლომონ II-რის დროს. აქ მოთავსებულია ყველა ის ცნობა, თუ რომელნი კათოლიკენი გადვიდნენ გრიგორიანობაზედ.

6) ქართველ კათოლიკეთა მოძღვარნი, მქადაგებელნი და მწერალნი 1600 წლიდგან, ვიდრე 1860 წლებამდე. აქ აღნუსხულნია ბიოგრაფიულნი ცნობანი, ძველ მქადაგებელ პატრთა, დახასიათებულია შეძლებისამებრ მათი მოქმედება და ისიც, თუ რა ენაზედ ემსახურებოდნენ ხალხს; გარდაცვალების წელნი მრავალ ქართველთ კათოლიკეთ მოძღვართა, მათ მიერ შედგენილ წიგნებისა და სხ.

7) ისტორიული მასალები ქართველ კათოლიკეთა შესახებ მე-XI საუკუნიდგან, ვიდრე ჩვენ დრომდე. აქ ჩამოთვლილია მრავლად გვარები ქართველ კათოლიკეთა, თავადნი, აზნაურნი, დრო ამათის კათოლიკობასთან დაკავშირებისა. სხვა-და-სხვა ეპისკოპოსნი და აბბატნი საქართველოში. ქართველ კათოლიკეთა თავ-გადასავალი და მასთან მრავლად ცნობანი სხვა-და-სხვა ისეთ ქართველ კათოლიკეთა შესახებ, რომელნიც მართლ-მადიდებლობიდგან კათოლიკობაზედ გადავიდნენ. ბევრი საინტერესო ცნობაა მოთავსებული ოსმალეთის საქართველოს შესახებაც. კათოლიკე გლეხნი ოსმალეთის საქართველოში, მხნედ-მთესველნი; ადებ-მიცემა, დედაკაცობა, მათი ხელ-საქმიანობა. საქართველოში კათოლიკეთ პატრებისაგან პირველად დამართული სასწავლებლები (1630 წ.), წამალხანები (აფთიაქი, დოსტაქრები და ექიმები; ქართველ კათოლიკეთა მოძღვარნი და მმრთმელნი მწერლობის ასპარეზზედ.

და 8, ხურსიძეთა გვარის აღწერა, ზარზმის წარწერის შოთა (შიო) ხურსიძე და ბევრი რამ ისტორიული ცნობა ოსმალეთის საქართველოს შესახებ. ოსმალთაგან დასავლეთ-საქართველოს ხელში დაჭერა, ახალციხის საფაშო ქალაქად დანიშვნა, ათაბეგობის მოსპობა, ფაშების განწესება, ისარლი ადასები, კათოლიკობის აღორძინება ახალციხის მაზრაში, ოსმალთაგან ქართველთ დევნა, და შეწუხება. აქვე ჩამოთვლილია გვარები ქართველ-კათოლიკეთა მცხოვრებლებისა ტფილისს, ქუთაისს, ბათუმს, გორს, ახალ-ციხეს და ბევრგან სხვაგანაც. გვარების გადაკეთება ოსმალურად და თათრულად და სხვ.

წერილი
რედაქციის მიმართ

ნება გვიბოძეთ გულითადი მადლობა ვუძღვნათ თქვენის გაზეთის საშუალებით იმათ, ვინც კეთილინებეს და შემწეობა აღმოგვიჩინეს ს. ითხვისში განზრახულ წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დასაარსებლად.

უ-დ სამღვდელომ იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდმა გამოგზავნა 15 მან.

მღვდელმა თომა დეკლაძემ—2 მ., მღ. დ. დევიძემ და ს. მაჭარაშვილმა თითო მანეთი.

ქ-ნმა ნოდინე აბდუშელიშვილისამ 2 მ. 30 კ.

ბ-ნმა დიმიტრი ბარათაშვილმა 1 მ. 60 კ.

ქ-ნმა ანეტა წერეთლისამ — — 80 კ.

ბ-ნმა ირაკლი დეკანოზიშვილმა 21 ცალი სხვა-და-სხვა წიგნები და აგრეთვე სხვა-და-სხვა ნივთები. ივანე კიკნაძემ 6 ცალი წიგნი და სტუდენტმა გ. სულაქველიძემ 10 ცალი წიგნი.

სხვა-და-სხვა ნივთები შემოსწირეს კ. წერეთელმა, ალექ. გადუსტოვმა, ს. კვიტაროძემ, ნ. ოთხმეზურმა, ვ. კეკელიშვილმა, აკვილინამ, ქეთომ, კატომ, ნუნინემ, ივლითომ, ყოზეფინემ, პელაგიამ, ნინომ, ელიბომ, ხინამ, ვერამ, მატრონამ, ქრისტინემ, ელიბომ, ზურაბმა, ვასილმა, სიმონმა, კიდევ სიმონმა, მიხეილმა და კოტე—აბდუშელიშვილებმა. მარიამმა, ელისაბედმა, ანნამ, ეკატერინემ, ოლღამ, პოლიქამ, ლიდამ, დონამ, ქრისტინამ, მარიამმა, მაშიკომ, ნადეჟდამ, ლიზამ, ნინომ, ბლად. მღ. იოსებმა და ვიქტორ წერეთლებმა. პოლამ და ნადეჟდა გამსახურდიშვილებმა, ტასო მეგრელიშვილმა, ზინაიდა ქოსაძემ, ლიზა ჩხეიძისამ, მართა რაზმაძემ და ელისაბედ დვალიშვილმა. კიმოთე ქურციკიძემ—30 კ.

ამხანაგების მონდობილობით ტ. წერეთელი.

დეპეშა
(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

11 სეკდემბერი.

სოფია. მაკედონიიდან მიღებულ ცნობებით მეამბოხეთა მოქმედება ძლიერდება. ტელეგრაფისა და რკინის გზის რამდენიმე შენობა დაანგრიეს.

ბელგრადი. ნოვობაზარის სანჯაყიდგან ალბანნი შეესივნენ სერბიის კაპაონაკის მთებს, სამის საათის სავალ მანძილზე სერბ-ოსმალთა საზღვრიდან დაეცნენ სერბთა მეურმეებს და დაირეკეს მათი ურმები და ხარები. ორი მეურმე მოჰკლეს და სამი ტყვედ წაიყვანეს. დარაჯნი რომ მივიდნენ, ავაზაკები მიიმალნენ.

ეკატერინოსლავი. „პრიდნეპროვსკი კრაი“ იუწყება შესახებ ხორბლეულის დაბანდებისა ადგილობრივს რკინის გზებზე. ხარკოვ-ნიკოლაევის გზაზე დაბანდდა 4,000 ვაგონი, ეკატერინისაზე—1,000-ზედ მეტი. დაბანდება მოხდა რკინის გზების სადგურების ნაკლებობით. გაზეთი ამბობს, რომ ყოველ ათის დღის განმავლობაში დაბანდდება 4,000 ვაგონიო. ექსპორტერებს დ გამგზავნელებს დიდი ზარალი მოელისო. სადგურებზე საკმაო არ არის ფარდულებიო. ხორბლეულს ცის ქვეშ აწყობენო. საჭიროა, ეხლავე მიიღონ შესაფერი ღონისძიებანიო.

კონსტანტინოპოლი (დაგვიანებულია). პორტის ჩივილის გამო, რომ შიპკის დღესასწაულები აღელვებს მაჰმადიანთაო, რუსეთის მხრივ ამტკიცებენ, რომ შიპკის ვიწროების დღესასწაულებს სამხედრო იუბილეს მნიშვნელობა აქვს და ყველა პოლიტიკური დემონსტრაციები აცილებულ იქნებაო. ამტკიცებენ, რომ შიპკის დღესასწაულების შემდეგ კონსტანტინეპოლს მიბრძანდება დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, ხოლო ადმირალი ტირტოვი იქ არ წავაო.

ამსტერდამი. ბურთა გენერლების მიერ ხელმოწერილს მოწოდებაში აღნიშნულია, რომ ჩვენ ვერ შევძელით მიგვეღო ინგლისისაგან დახმარება შესამსუბუქებლად განუზომელ საჭიროებისა, რომელიც არის ბურთა რესპუბლიკებში და ამიტომ უნდა მივმართოთ ევროპასა და ამერიკასაო. დახმარება ეჭირვება მხოლოდ ქვრივთა, ობოლთა, დაჭრილთა, ყოვლად უნუგეშოთა და ბავშვთაო.

ბრესტი. რეიდზე დაეჯახა სანაპიროების დაცვის ნაღმიანი ხომალდი რუსეთის „კრეისერისა“. ამ უკანასკნელის ბოლო დაიმსხვრა. რუსი სამი მეზღვაური გადავარდა წყალში, ხოლო ნაღმიან გემის მოსამსახურეთ გამოიყვანეს სამშვიდობოს.

პეკინი. უფროსი გერმანიის ესკადრისა ტეისლერი და გერმანიის საქმეთა რწმუნებული ფონ-დერ-ჰოლცი მიიღეს იმპერატორმა და იმპერატრიცა რეგენტმა. აუდენციას კმაყოფილებისა და სიამოვნების ხასიათი ჰქონდა. იმპერატრიცა-რეგენტმა ხანგრძლივს მუსაიფის დროს ბრძანა, რომ დიდი მოსურნე ვარ კეთილის მეგობრობისა გერმანიის იმპერატორთანაო.

კოპენჰაგენი. ადმირალი ლომენი სრულიად მორჩა და წავიდა რუსეთს.

კონსტანტინოპოლი. სამის დღის წინად მომხდარმა მინისტრთა საბჭომ მიიღო რუვიეს წინადადება და წარუდგინა სულთანს დასამტკიცებლად.

ლიბავა (დაგვიანებულია). ხელმწიფე მემკვიდრე მიხეილალექსანდრეს ძე დილის 9 საათზედ წაბრძანდა დანიას თავის საკუთარ გემ-„ზარნიცათი“.

პეტერბურგი. 11-ს სეკდემბერს საზღვარგარეთიდგან მობრძანდა დიდი მთავარი პეტრე ნიკოლოზის ძე უავგუსტოესის მეუღლითურთ.

12 სეკდემბერი.

ბაქო. 11 სეკდემბერს იყო განზრახული წასვლა შაჰისა, მაგრამ მცირედის უქეიფობის გამო გადადებულ იქმნა.

მენზელინსკი. 11 სეკდემბერს, ერობისა და ქალაქის წარმომადგენელთა თანადასწრებით დაიწყო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, გამართული საერობო სამეურნეო საბჭოს მიერ მიწად-მოქმედების სამინისტროს ხარჯით.

სოფია. გენერალი ცონჩევი, რომელიც მთავრობის ნება-დაურთველად მოვიდა აქ, დაპატიმრებულ იქმნა.

პეკინი. ვიცე-კოროლმა ტსენგმა, გვარდიის ორის ბატალიონით დაამარცხა ბოქსერები ჩენგტუს ახლოს. ჩინეთის გარეშე საქმეთა უწყება აცხადებს, რომ თიფ-იარაღით მოქმედება მეამბოხეთა დასაწყნარებლად არ აწყვეს მაინცა-და-მაინც დიდს წინააღმდეგობასაო.

პარიჟი. ერთი-ორად მეტმა მოაწერა ხელი ბოლგარიის სასესხებლად ფულის გამოღებაზედ, ვიდრე საჭირო იყო.

პეტერბურგი. საერო განათლების უწყების უმაღლეს სასწავლებელთა რეფორმის საქმის განსაზღვრად და განსახილველად არსდება უმაღლესის ნება-დართვით ცალკე კომისია ტაინი სოვეტნიკის ზენგერის თავმჯდომარეობით. კომისიაში მონაწილეობას მიიღებენ ზემოხსენებულ უწყების უმაღლეს სასწავლებელთა წარმომადგენელნი, აგრეთვე წარმომადგენელნი სამინისტროებისა და მთავარ-სამმართველოთა, რომელთა გამგებლობაშიაცაა უმაღლესი სასწავლებლები.

პეტერბურგის ბირჟა, 10 სეკდემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,90
ბერლინში 100 მარკაში	45,97½
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,65
ბერლინში ,,	46,25
პარიჟში ,,	37,57½
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97⅝ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	98¾ გაყ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთ ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	467 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	357½ წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	291½ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	82¾ წვ. გაყ.
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	89⅜
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, ,, ,,	350 წვ. გაყ.
,, კასპიის ამხანაგობისა	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	165 წვ. გაყ.
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი
რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბაქო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით)	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბათუმი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე)	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან)	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბორჯომი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე)	9 ს. 57 წ. დილ.	6 ს. 22 წ. დილ
სამგზავრო „ „	6 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

განცხადება

ქირავდება

იაფად 4 ოთახი ყოველგვარ მოწყობილობით თითქმის შუაგულ ქალაქში, ეგზარხოსის მოედანზედ, სახლი თავ. შერვაშიძისა, № 14.

ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობა ამით უცხადებს საყოველთაოდ სახლის პატრონთ, რომ, რადგან ქუჩაზე რაც ხეებია დარგული, ყველა ქალაქის საკუთრებას შეადგენს, ამიტომ არავის ნება არა აქვს მათი მოჭრისა ან გადაჩეხისა, ქალაქის მმართველობის ნება-დაურთველად, წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავენი კანონის ძალით დაისჯებიან.

(3—6.—3)

ქ. გორში

სამეფო ქუჩაზედ, არჩუაძის და მაისურაძის წიგნის მაღაზიაში ისყიდება, დაკლებულ ფასად, შეგირდებისათვის ყოველ გვარი სახელმძღვანელო წიგნი.

(30—6.—26)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

იუწყება საყოველთაოდ საცნობლად, რომ 2 ოკდომბერს 1902 წლისას, ნაშუადღევის 1 საათზედ, მის თანადასწრებით იქნება ხელმეორედ ვაჭრობა, 1 სეკდემბერს არ შემდგარის მაგიერ, რომელზედაც იჯარით გაიცემა ნავთის საწარმოებლად ქალაქ ტფილისის კუთვნილ ოთხ სანავთო ნაჭერში ერთის ნაჭრისა, რომელიც იმყოფება „ნავთის ქალაში“, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირად, ქალაქიდგან 12 ვერსის მანძილზედ, ზომით ორი დესეტინა და 1044 ოთხ.-კუთ. საჟენი, იმ საზღვართა შორის, რომელნიც აღნიშნულია ქალაქის მიწის-მზომელის მიერ შედგენილს გეგმაზედ, რაიცა თვით პირობებსა აქვს ზედდართული.

ეგ ნავთიანი მიწის ნაჭერი იძლევა იჯარით ამოღებულის ნავთის საწილადოთ ქალაქ ტფილისისათვის და ამ წილის რაოდენობა იქმნება საგნად ცილობისა ვაჭრობაზედ. ვისაც დარჩება ამ ვაჭრობაზედ ნავთიანი ნაჭერი, ნება აქვს, რომელიც უნდა, ის ნაჭერი აირჩიოს ზემოხსენებულ ოთხ ნაჭერში. ვაჭრობის დაწყებამდე, თითოეულმა ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა შემოიტანოს ბეთ ნაღდ ფულად ანუ %-ან ქაღალდებათ 2,000 მანეთი. ვაჭრობა მოხდება, როგორც სიტყვიერად, ისე დაბეჭდილ განცხადებათა შემწეობით, ხოლო ამ უკანასკნელს შემთხვევაში დაბეჭდილ კონვერტში უნდა იყოს: ა) ბეი 2,000 მან. ნაღდ ფულად ან სახელმწიფო ან საიპოტეკო (გირავნობის ფურცლები და ობლიგაციები) %-იან ქაღალდებად ზედ-წარწერილ ფასის ანგარიშით; ბ) სახელი, მამის სახელი და გვარი იჯარის აღების მსურველისა და მისი ადრესი; გ) სიტყვებით დაწერილი უნდა იყოს, რა წილს აძლევს ქალაქს ამოღებულის ნავთისას.

არავითარი გარეშე კომბინაციები, ზედდართული შემოძლეულს ფასზედ, კონდიციებში წინადვე საჭიროდ არ დანახული, მხედველობაში არ იქნება მიღებული.

დაბეჭდილი პაკეტები უნდა წარედგინოს გამგეობას ნაშუადღევის 1 საათზედ, არა უგვიანეს იმ დღისა, რა დღესაც დანიშნულია ვაჭრობა. განცხადებას, ჩადებულსა დ დაბეჭდილს კონვერტში, თუ ზემოხსენებული პირობანი არ იქნება დაცული, სრულიად არ განიხილავს გამგეობა. პირობათა შეტყობა შეიძლება გამგეობის კანცელარიაში, მის მე-4 განყოფილებაში, ყოველ დღე, როცა-კი სამსახურია, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. ვისაც ჰსურს, შეიძლება ფოსტით გაეგზავნოს პირობანი.

(3—6.—3)

ღვთის-მოყვარულთა ქრისტიანეთა მიმართ

სოფელი ნაღვარევი, რომელიც მთიულეთშია, დარჩა უეკკლესიოდ, ხალხი-კი აქ მეტად ღარიბია და დავიწყებული ყველასაგან. 100 კომლამდე მცხოვრებელია, მაგრამ ორასი კომლიც რომ იყოს, რა მოახერხოს ასეთმა ბეჩავმა ღარიბ-ღატაკმა მთიულმა ხალხმა? იქამდე ღარიბნი და საწყალნი არიან, რომ წლითი-წლამდე მათი საზრდო მხოლოდ სიმინდი და ქერია, რომელსაც ყიდულობენ ქ. კავკავში 110 ვერსის მანძილზედ და ტანჯვა-ვაებით გადმოაქვთ თავიანთ სახლში.

ამიტომ განვიზრახე მოგროვება ფულისა და აგება ეკკლესიისა. ამ აზრით გ ამოვითხოვე წიგნი მათ მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობის ალექსისაგან, რომ შეწირულებითა და შეწევნითა ხალხისათა აღვაშენო ნაღვარევის სამრევლოში სახლი ღვთისა, წმ. გიორგის სახე ლობაზედ. ვიმეორებ ამ თხოვნასა, ვევედრები და ვაწუხებ ყველა ღვთის მოყვარულ მართლ-მადიდებელ ქრისტიანეთა და ვსთხოვ უმორჩილესად შემწეობა აღმოუჩინონ ამ წმიდა საქმესა.

ჩემი ადრესი:

Ст. Млеты. Воен.-Груз. дор., Т. губ. Сборщику доброхотныхъ пожертвованій на постройку новаго храма въ сел. Нагвареви, причетнику Алексѣю Арганашвили.

ბორჩალოელ ქართველთა გულის-შემატკივართა მიმართ.

ახალშენ ეკატერინენფელდში (ბორჩალოს მაზრა), სადაც ნემცებთან ერთად მრავალი ქართველობა სცხოვრებს, გადმოსახლებული სოფლად სამშენებლის გაჭირვების გამო და მკვებავი გატანჯულის ცოლ-შვილისა დღიური მუშაობით, არ არსებობს ეკკლესია ღვთისა, რომელშიაც ნივთიერად დამარცხებულ ერს შეეძლოს აღორძინდეს სულიერად მაინც და დააკმაყოფილოს თავისი რელიგიური გრძნობა-მოთხოვნილება.

უეკკლესიობის გამო ქართველი გლეხი ხალხი და მასთან ყველა ისინიც, რომლებიც მსახურობენ აქ სხვა-და-სხვა მმართველობაში, დაიარებიან ნემცთა ეკკლესიაში, სადაც თვით მოზრდილები და მეტადრე, ნემცურის ენის მცოდნე ახალთაობა, ისმენს ლიუტერის განდგომილს სწავლას.

ქრისტეს მიერ საყვარელნო ძმანო! მოგეხსენებათ, რა შედეგსაც მიგვწევს ეს სამწუხარო ამბავი, თუ ასე გაგრძელდა. ასაცილებლად იმ შემაძრწუნებელ შედეგის, ჩვენ მოვიწადინეთ აღვაშენოთ აქ მართლ-მადიდებელთა ეკკლესია. მთავრობამ უყურადღებოდ არ დასტოვა ჩვენი კეთილი დაწყობილება და იმის დახმარებით შევაგროვეთ ორმოცთუმნამდე. ადგილობრივი მემამულენი გვპირდებიან ტყე-მასალას და ასაშენებელ ქვას უსასყიდლოდ, რომლის მოტანა ივისრეს თვით ნემცებმა. ასე, რომ განსახორციელებლად ამ აზრისა, გვჭირდება კიდევ იმდენი ფული, რაც შეგროვილია ამ ჟამად. ეკკლესია იქმნება შინაურის ეკონომიით აშენებული, რომლისათვის კომიტეტმა შეიძინა სამასი ოთხ.-კ. საჟენი მიწა შუა ახალშენში უმაღლესის მთავრობის ბრძანებით.

ამისათვის, როგორადაც თვით ქართველი ერი, აგრეთვე მთავრობისაგან დადგენილი და დამტკიცებული კომიტეტი იურის მუხლს გულისა თვისისა და დმობიერად სთხოვს ყველა ქრისტეს მოყვარე ქართველს, რომელნიც-კი ჩახედულ არიან ბორჩალოელ ქართველთა ერის მწარე ხვედრ ცხოვრებაში,—აღგვიმართონ მკლავი მოწყალებისა და შეგვეწიონ ღვთის გულისათვის, ვისაც რით შეუძლიან. მათი სახელები იქნება სამუდამო მოსახსენებლად აღბეჭდილი მომავალ ეკკლესიის საკურთხევლსა შინა.

თავმჯდომარე კომიტეტისა, ქვეშის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიის მღვ. სტეფანე ბაიდოშვილი.

კომიტეტის წევრნი: მკურნალი—ვლ. ინაევი; გამომძიებელი—Мих. Вас. Чиловъ; ბოქ. გიორ. ი. თ. ანდრონიკაშვილი; მწარმ. საქ. ი. ი. თ. ციციშვილი.

ადრესი შემოწირულებათა: *Черезъ Шулаверы, Комитету по постройкѣ Екатериненфельдской православной церкви.*

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н. Марра	3	„
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Неестественность „естественнаго“ метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„	10
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова	„	60
Очерки по исторіи грузинской словесности, А. Хаханова в. Ш.	3	„
Замѣтки о городскомъ самоуправлении на кавказѣ Г. Туманова	„	60
Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина	1	„
მეხილეობისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნაცვლიშვილის	1	„
ვედრება და განათლება, თარგ. ს. ჯუღელის	„	30
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობის თარგმანი ა. ნატ. გიგაურის	„	50
ბრძნული სიტყვები	„	10
წმიდა ახო ტფილელი	„	30
დაზარილით ტორმესელი, ესპანური მოთხრობა, თარგმ. ზ. უმიკაშვილის	„	10
ტფილისი, მ. ჯანაშვილის	„	50
თამარიანი, პოემა ს. გუგუნავასი	„	50
ნამუნი ვაზით ვენახის მოშენებას ქვარიანის	„	5
სურამის ციხე, დ. ჭონქაძის	„	15
კონსტანტინე ბატონიშვილი, თ. ხუსკივაძის	„	5
ზღაპრები სურათებით	1	„
პაწია და ბუზღლია, სურათებით თარგმანი დ. ავალიანის	„	30
„შოთა რუსთაველი“ მ. ჯანაშვილის	„	40
Царица Тамара, მისივე	„	50